სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 10 ივლისი 1997 №79 (444) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ევროპაში ევროთასების წილისყრა მოეწყო:

დინამო ომში მიდის!

თუ გადარჩა, ლევერკუზენშიც

ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე პირველ ეტაპზე ჩრდილოეთ ირლანდიის „კრუზეიდერსი“ იქნება. პირველი მატჩი 23 ივლისს ამჟამად ბრძოლის ველად ქცეულ ბელფასტში უნდა ჩატარდეს, საპასუხო კი — 30 ივლისს თბილისში. თუ ჩვენი ჩემპიონი ამ ეტაპს გაივლის, მაშინ მისი მომდევნო მეტოქე გერმანიის ვიცე-ჩემპიონი ლევერკუზენის „ბაიერი“ იქნება.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ისევ არარატი — დინამო ოღონდ ამჯერად ბათუმისა

თასების თასის ბოლო სამი წლის უცვლელი მონაწილე „ბათუმი“ ამ გათამაშებას მხოლოდ ევროთასის მფლობელ გუნდთან წაგებით ტოვებს ხოლმე. იმედია, აჭარლები ტრადიციას არც ამჯერად უღალატებენ და პირველ მეტოქეს — ერევნის „არარატს“ წარმატებით გაივლიან. პირველი მატჩი 14 აგვისტოს ბათუმში გაიმართება, საპასუხო — 28 აგვისტოს ერევანში.

UEFA Cup Winners' Cup

ფოთი ბელარუსის ფრონტზე
წილისყრა კოლხეთმა გახსნა

პირველი წყვილი, რომელიც გუშინდელი წილისყრისას გაირკვა, მინსკის „დინამო“ — ფოთის „კოლხეთი“ იყო. „ნამდვილი“ ევროთასების დებიუტანტი ფოთელები 23 ივლისს მინსკში მოინათლებიან, ერთ კვირაში კი, 30 ივლისს, მასპინძლობის ჯერი დაუდგებათ. იმედია, ფოთელები შარშანდელზე ხეირიანად ითამაშებენ.

UEFA CUP

ჩვენი გუნდების თავკაცთა კომენტარები, მეტოქეთა მცირე დოსიეები და წილისყრის სრული შედეგები მეორე-მესამე გვერდებზე იხილეთ

ტაისონი მოიკვეთა

გუშინ გვიან ღამით ნევადის შტატის სპორტულმა კომისიამ „კაციჭამია“ მაიკ ტაისონის საქმე განიხილა. მოგეხსენებათ, ამ ჯენტლმა თავის ბოლო შერკინებაში მსოფლიო ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდს ყურის კარგა მოზრდილი ნაწილი მოაჭამა. ტაისონმა ამის შემდეგ საჯაროდ მოიხადა ბოდიში და ეგონა შერჩებოდა ნამოქმედარი. მას იმედი ჰქონდა, რომ მოკრივის ლიცენზიას არ წაართმევდნენ, მისი ქონების პატრონს კი ფულადი ჯარიმა რას დააკლებდა. მაგრამ ხუთი წუთრისგან შემდგარმა კომისიამ სხვაგვარად განსაჯა: ტაისონს ნევადის შტატში მატჩების გამართვის უფლება ჩამოართვეს, რაც, ფაქტობრივად, მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე აკრძალვას ნიშნავს და 3 მილიონი დოლარი ჯარიმადაც დააკისრეს.

ტაისონის ადვოკატებს უფრო მსუბუქი სასჯელის იმედი ჰქონდათ, მაგრამ კომისიამ გადაწყვეტა, რომ ოდენ ბოდიში წამხდარ საქმეს აღარ შველის. „სპორტსა და ქაოსს შორის დიდი ზღვარია, ტაისონმა კი იგი დაარღვია. სპორტულ სულისკვეთებაზე მაღლა არც ერთი მოკრივის დაყენება არ შეიძლება“ — განაცხადა ნევადის შტატის გენერალურმა პროკურორმა.

ტაისონს ერთ წელიწადში საქმის თავიდან განხილვის უფლება აქვს. თუ უარი უთხრეს, კიდევ ერთი წელი ცდა მოუწევს მორიგი განხილვისთვის. თუმცა, ერთ დროს დაუმარცხებელ, აწ უკვე წამხდარ ჩემპიონს ლიცენზია შეიძლება აღარც დაუბრუნონ.

ვითომ დღეს?

გადავა თუ არა რონალდო „ბარსელონიდან“ „ინტერში“? ამ კითხვას პასუხი ფიფამ უნდა გასცეს. ელოდნენ, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია პასუხს წუხელ გასცემდა (თუმც ადრე ითქვა, რომ ივლისში არაფერია მოსალოდნელი), მაგრამ ციურიხში წუხელაც არაფერი გაირკვა.

ფიფას პრეს-ატაშემ კით კუპერმა განაცხადა, რომ საქმეს ნათელი შესაძლოა დღეს მოეფინოს.

ღუსელ

ავსტრიის ჩემპიონატი. 1997-98 სეზონის პირველი ტური. ადმირა ვაკერი — ტიროლი 3:2, ლუშტენაუ — ზალცბურგი 2:0, რიდი — რაპიდი 2:2, აუსტრია (ვენა) — ლასკ ლინეი 2:0, გრაცერი — შტურმი (გრაცი) 0:4.

შვეიცარიის ჩემპიონატი. მეორე ტური. არაუ — კრინსი 3:0, კარუეი — ციურიხი 1:3, გრასჰოპერი — სტ. გალენი 2:2, ლოზანა — ბაზელი 3:0, ლუცერნი — სიონი 2:2.

ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის. ნახევარფინალი: შვედეთი — გერმანია 0:1 (ბეტინა ვიგმანი 85), იტალია — ესპანეთი 2:1 (სილვია ფიორინი 11, კაროლინა მორაჩე 29; მარია ხიმენესი 86).

რობერტო ბაჯიოს აგენტმა ანტონიო კალიენდომ განაცხადა, რომ 99 პროცენტით გადაწყდა ოდესღაც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის „პარმაში“ გადასვლის საკითხი. მსოფლიოს ჩემპიონატის წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა ბაჯოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებაო — დასძინა კალიენდომ.

რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატი. ეს ქაოსური და მრავალჯერ გაწყვეტილი შეჯიბრი, როგორც იქნა, დასრულდა. „ბოტაფოგომ“ დიმბას ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა „ვასკო და გამა“ 1:0 და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ალბანეთის ლიგის 1996-97 წლების სეზონი, რომელიც თებერვლის დასაწყისში სამოქალაქო ომის გამო შეწყდა, მაინც დამთავრდება. დარჩენილი ხუთი ტური ორ კვირაში (2-16 აგვისტო) ჩატარდება და ყველა მატჩი ნეიტრალურ მინდორზე გაიმართება, 1997-98 წლების ჩემპიონატი კი 13 სექტემბერს დაიწყება. მიუხედავად ამისა, ალბანეთის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო საშინაო შეხვედრაში 10 სექტემბერს ჩრდილო ირლანდიის ნაკრებს ესპანეთში მიიღებს.

შოთა და თემური ლივერპულში შეხვდებიან

დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

ლონდონის საგაზეთო ჯიხურებში კარგა ხანია გამოჩნდა „იზვესტია“ თუ „არგუმენტი ი ფაქტი“. ცხადია, ჯერ აქ იმდენი ქართველი არ ვცხოვრობთ, ჩვენებური გაზეთების ყიდვით იხეირონ ინგლისელებმა, თუმცა, ეს პრობლემა ნაკლებად მაწუხებს — სამშაბათით წინა კვირის სამივე „სარბიელი“ და „რეზონანსები“ ჩამომდის ხოლმე. ახლაც, ამ სამშაბათს, ქართული პრესა წავიმძღვარე და ნაცნობ დალაქს ვეწვიე: თმას ოდნავ შევისწორებ და თან გაზეთებს გავეცნობი-მეთქი, ვიფიქრე. ნეტა არ მეფიქრა!



REUTERS ამსტერდამიდან

ორშაბათი, 7 ივლისი. მორტენ ოლსენი ამ სეზონში პირველ ვარჯიშს ატარებს. დაკვირვებული მკითხველი უკანა პლანზე შოთა არველაძესაც შეიცნობს

სავარძელში ჩაჯდომამ, „სარბიელის“ ერთ-ერთი ნომრის გადაშლა და დალაქის... ყვირილი ერთი იყო — როგორ, შოთა წავიდა?! ჰო, მართლა, ჩემი დალაქი თურქია და პირველ გვერდზე „აიაქსის“ ფორმაში გამოწყობილ არველაძეს რომ ჰკიდა თვალი, კინაღამ გული შეუღონდა. აქ უნდა მეგუმანა საფრთხე, მაგრამ... არა, თავი და ყურები კი შემრჩა, მაგრამ ნახევარ საათში გაზეთის კითხვას და აღშფოთებული დალაქის შეკითხვებზე პასუხებს რომ მოვრჩი, სარკეში მაშინღა ჩავიხედე და... თემურ ქეცბაია გამახსენდა. ბოდიში, ბატონო, ნამეტანი ავღელდი და ველარ მოვზომეო — მითხრა დალაქმა და კუთვნილი 13 გირვანქის აღებაზეც უარი მტკიცა.

ბოდიშები იმ დღეს ამით არ დამთავრებულა, თუმცა მეორე პატიება უფრო „სარბიელის“ მკითხველებს ეკუთვნით. „ჩემს მაგივრად მოუბოდიშე თქვენი გაზეთის მკითხველებს, რომ შეცდომაში შევიყვანე“ — მითხრა „აიაქსის“ პრეს-ატაშემ ერიკ ვან ლეუვენმა, ვისაც ტელეფონით შევეხმიანე და ვუსაყვედურე — შოთას ხუთწლიანი კონტრაქტი დაუდვია, შენ კი ორი პლუს ერთი მითხარი-მეთქი. „იმ წუთის დამთავრებული იყო ხელისმოწერის ცერემონიალი. თან, შოთასთან ერთად „ლიერსიდან“ ნაყიდი პოლონელი ანჯეი რუდიც ხდებოდა „აიაქსის“ წევრი. სწორედ პოლონელთან გააფორმა ჩვენმა კლუბმა 2+1 კონტრაქტი და მეც სიჩქარეში შევცდი“ — განმარტა ვან ლეუვენმა. ახალი ამბები კი შოთაზე ეს გავიგე: ამჟამად ის სასტუმროში ცხოვრობს, „აიაქსი“ კი ფიქრობს — ბინა უქირავოს თუ უყიდოს (ხუთი წელი იქ უნდა იყოს, ბოლოსდაბოლოს). ეს საკითხი მომავალ კვირაში გადაწყდება. ისევე, როგორც შოთას მუდმივი ნომერი მაისურზე და ისიც, ზემოხსენებული ბინა ამსტერდამში იქნება თუ ქალაქგარეთ (ეს შოთას არჩევანზეა). „აიაქსის“ პრეს-ატაშეს თქმით, გუნდის პირველი ვარჯიში ორშაბათს ჩატარდა, 26 და 27 ივლისს კი „აიაქსი“ ლივერპულში ჩავა და იქ ოთხთა ტურნირში ითამაშებს „ლივერპულთან“, „არსენალთან“ და „ნიუკასლთან“ ერთად. ასე რომ, დიდი შანსია, შოთა არველაძე და თემურ ქეცბაია ორიოდ კვირის შემდეგ „ენფილდ როუდზე“ ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ. ქეცბაიაზეც გეტყვით, „აიაქსზე“ საუბარი კი იმით დავამთავროთ, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდი კიდევ ერთ ოთხთა ტურნირში ითამაშებს — აგვისტოში ესპანეთში, სადაც ერთ-ერთი მეტოქედ მადრიდის „რეალი“ ეყოლება.

ახლა „ნიუკასლის“ ქართველ ნახევარმცველზეც ვთქვათ. დავიწყოთ იმით, რომ სამშაბათს თემურის და კლუბის ურთიერთობა უკვე ოფიციალურად გაფორმდა, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური მხარეღა იყო — ქეცბაიამ სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ამჟამად, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელიც, „ნიუკასლის“ პრეს-ატაშეს თქმით, სასტუმროში ცხოვრობს, თუმცა ბინა მისთვის უკვე შერჩეულია და თემურიც, ოჯახთან ერთად, რამდენიმე დღეში დასახლდება. რაც შეეხება გუნდის სეზონისწინა გეგმებს, ისინი ასეთია: ზეგ გუნდი შეკრებაზე ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში მიემგზავრება, სადაც სამშაბათს იქვე მყოფ ჰოლანდიის ჩემპიონ „ეინდჰოვენს“ ეთამაშება. მერე ლივერპულის ტურნირია, ჩემპიონატის დაწყებამდე კი „ნიუკასლი“ კიდევ ერთ მატჩს ითამაშებს ტურნინის „იუვენტუსთან“. ჯერჯერობით, შოთას დარად, არც ქეცბაიას მუდმივი ნომერი გარკვეულა, თუმცა ესეც ორიოდ დღის საქმე ყოფილა.

ასეა — დიდ კლუბებს დიდი გეგმები აქვთ. აი, „მანჩესტერ სიტი“ კი... გიო ქინქლაძეს რომ შევეხმიანე — ჯერჯერობით, ახალი ფეხბურთელები არ დაუმატებიათ, თუმცა კი ვიღაცეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენო — მითხრა. არა, „ვიღაცეებით“ ეს გუნდი შორს ვერ წავა. ის კი არა, ჯერ კლუბში ისაც ვერ გადაუწყვეტიათ, შეკრება სად ჩაატარონ.

კრუზეიდერსი — დინამო თბილისი

CHAMPIONS LEAGUE

რატიანს წინათგრძნობა არ ღალატობს

შუადღის 3 საათი. ღიღმის ბაზაზე შეკრებილი „დინამოს“ დირექტორატის წევრები, ბაზის თანამშრომლები, ავსტრიიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ მეკარე ირაკლი ზოიძე და რამდენიმე გულშემატკივარი დაძაბული ელოდებოდნენ შვეიცარიიდან მერაბ ჟორდანიას ზარს. წინასწარი აზრი ასეთი იყო: იუგოსლავიის „პარტიზანისა“ და სოფიის ცსკას გარდა ყველა დანარჩენ შესაძლო მეტოქეს მეტნაკლებად მისაღებად თვლიდნენ.

ნახევარ საათში ზარიც გაისმა. ყურმილი დირექტორატის წევრმა ვალერი შალიკაშვილმა აიღო: „კრუზეიდერსი“ — ჩრდილო ირლანდია! ხმაში იმედიანი ტონი იგრძნობოდა, დანარჩენებიც დაახლოებით ასევე შეხვდნენ კენჭისყრის შედეგს. ესაა, შორი გზა და შესაბამისად დიდი ხარჯები გულს არავის მოეფონა. პირველი კომენტარი ირაკლი ზოიძეს ეკუთვნის, ვისი „კრუზეიდერსთან“ თამაში ჯერ კიდევ სათუოა, რადგან, დარჩება თუ არა „დინამოში“, მალე გაირკვევა:

— ჩრდილო ირლანდიელებს ოთხი წლის წინაც მოვუგეთ და, ვფიქრობ, ახლაც გავიმარჯვებთ. ყოველ შემთხვევაში, „პარტიზანივით“ და ცსკა-სავით არასასურველი მეტოქე ნამდვილად არ არის. მაგრამ იმის თქმაც არ მსურს, რომ მოგება გარანტირებული გვაქვს. ხომ იცით, ბურთი მრგვალია — წელს არ იყო, „რუსენბორგმა“ „მილანი“ შინ რომ დაამარცხა. აბა ამას ვინ წარმოიდგენდა? თუმცა, მაინც იმედიანი განწყობა დამეუფლა. რაც უნდა იყოს, ოთხი წლის წინ ისინი ჩვენ დავამარცხეთ, პირიქით ხომ არ ყოფილა? შიში, წესით, იმათ უფრო უნდა ჰქონდეთ.

რომიკო შოთაძე, „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი:

— რა თქმა უნდა, ფარერებისა და მალტის ჩემპიონი რომ შეგვხვედროდა, გაცილებით აჯობებდა. ჩვენ გვახსოვს, 1993 წელს „ლინფილდს“ გამარჯვება ძლივს გამოვგლიჯეთ. მართალია, „კრუზეიდერსს“ „ლინფილდივით“ დიდი ტრადიციები არა აქვს, მაგრამ ამ გუნდს სუსტსაც ვერ ვუწოდებ, მით უფრო, რომ არც ჩვენ ვწყვეტთ ცაში ვარსკვლავებს. ის კი კარგია, პირველ შეხვედრას სტუმრად რომ ვატარებთ.

მახსოვს, „ლინფილდთან“ რომ ვითამაშეთ, ღღევანდელი ნაკრების მოთამაშეთა დიდი ნაწილი მაშინ „დინამოში“ ირიცხებოდა, თუმცა გამოუცდელები იყვნენ. გუნდში დღესაც ბევრია მათ მდგომარეობაში, მაგრამ შანსებს იმედიანად — სამოცი ორმოცზე ვაფასებ.

ისე კი, ჩრდილო ირლანდია შორსაა და მგზავრობასა და იქაურ სასტუმროებში დიდი ხარჯები გვექნება. 1993 წელს ეს ყველაფერი 70 000 დოლარი დაგვიჯდა. მაგრამ სათამაშოდ ჩასვლას მაინც პირდაპირი რეისით ვაპირებთ, ფეხბურთელები რომ არ დავღალოთ.

საერთოდ, გეცოდინებათ, რომ ჩრდილო ირლანდიაში რთული პოლიტიკური ვითარებაა, რაც „ლინდფილდთან“ შეხვედრამდე ჩვენს თავზე გამოეცადეთ. თამაშის წინა ღამეს ჩვენი სასტუმროს წინ ბომბი აფეთქდა — ისეთი ექო ჰქონდა, ვიფიქრეთ, რაიმე უბედურება ხომ არ ხდება ჩვენს თავს-თქო. ამის გამო ქვეყანაში შესვლა და ვიზების გაფორმება გართულებულია. „ლინფილდთან“ თამაშზე 45 კაცი აპირებდა გამგზავრებას, გუნდის წევრებისა და გულშემატკივართა ჩათვლით. ბრიტანეთის საელჩომ კი მხოლოდ 30-ზე გასცა ვიზა. სიაში 32-ე ვიყავი და მეც ზედმეტი აღმოვჩნდი. ახლაც, ალბათ, შეზღუდული შემადგენლობით მოგვიწევს გამგზავრება. ისე, მთავარია, მოვიგოთ და წასვლას ვინ ჩივის, კიდევ დავრჩები.

... „დინამოს“ დირექტორატის წევრი **მერაბ რატიანი** ნათელმხილველობას არ იბრალებდა, თუმცა ეცინებოდა:

— მამაჩემს დილით, და საერთოდ, ვინც დღეს ენახე, ყველას ვეუბნებოდი, პირველად რომ ვითამაშებთ ევროპაში, ახლაც ისე მოგვიწევს და ნაღდად ჩრდილო ირლანდიის გუნდი შეგვხვდებამეთქი. გამიმართლდა. ალბათ, იმედიც არ მიმტყუნებს და მეორე წრეშიც გავალთ.

ერთი იმის მეშინია, შვეიცარიაში რომ არ წავედი: რამდენჯერაც კენჭისყრას ვერ დავესწარი, იმდენჯერ გამოვცვივდით, მაგრამ მერაბ ჟორდანიას მეუღლე ჰყავს წაყვანილი და, იმედია, იმას კარგი ფეხი ექნება. შანსებს კი ასე შეკაფასებ — სამოცდაათი ოცდაათზე.

წილისყრიდან ორიოდ საათში თავად **მერაბ ჟორდანიასაც შეეხმიანეთ ჟენევაში.** მას ის-ის იყო დაემთავრებინა მოლაპარაკებები „კრუზეიდერსისა“ და „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელობასთან.

— რადგან უკვე გერმანელებთან საუბრობთ, მომდევნო ეტაპზე გასვლის დიდი იმედი გქონიათ.

— იმედი, ცხადია, მაქვს, თუმცა გარანტირებული დღევანდელ ფეხბურთში არაფერია. ისე, წილისყრის პირველი ნაწილით ანუ „კრუზეიდერსით“ კმაყოფილი ვარ, თუმცა ამასვე ვერ ვიტყვი მეორე მეტოქეზე, ბრიტანელებთან წარმატების შემთხვევაში რომ უნდა შეგვხვდეს — „ლევერკუზენზე“ უარესი რამდენიმე გუნდი თუ იყო.

— ბელფასტში გამგზავრებას როგორ აპირებთ?

— ჩარტერული რეისი ნამეტანი ძვირი დაგვიჯდება, ამიტომ გადაწყვიტეთ, „ბრითთშ ეირვეიზის“ რეისით თბილისიდან ლონდონს გავფრინდეთ, იქიდან — ბელფასტს. „კრუზეიდერსის“ მენეჯერმა მითხრა, გუნდი ქალაქიდან ნახევარი საათის სავალზეა დაფუძნებულიო.

— ჩრდილოირლანდიაში ახლა ლამის ომი გაჩაღდა. ამის შესახებ არ ესაუბრეთ იმ მენეჯერს?

— არა, ამაზე არ გვილაპარაკია.

მერაბ მამულაშვილი

ამასობაში „დინამო“ ტალინში განაგრძობს მზადებას და ორი მატჩის ჩატარებაც მოასწრო: პირველად დინამოელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ რიგის „სკონტოსთან“ — 0:6, გუშინწინ კი ლატვიელების ჯაური აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებზე იყარეს — 6:1. დინამოელთაგან ორ-ორი გოლი ალექსიძემ და იაშვილმა გაიტანეს.

„კრუზეიდერსი“ ბელფასტი

დაარსდა 1898 წელს
თამაშობს „სივიუს“ 9 ათასიან სტადიონზე
ჩრდილო ირლანდიის ჩემპიონი — 1973, 1976, 1996, 1997
ჩრდილო ირლანდიის თასი — 1967, 1968

„კრუზეიდერსმა“ ბოლო სამ წელიწადში მეორედ მოიპოვა ჩრდილო ირლანდიის ჩემპიონის ტიტული. წლევანდელ სეზონში უმეტეს ხანს „კოლრეინს“ მისდევდა კუდში, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოახერხა მისი გადასწრება სამი ქულით. „დინამოს“ მომავალმა მეტოქემ ოცდარვა თამაშიდან ათი მოიგო, ხუთი წააგო, ცამეტჯერ ფრე ითამაშა. ბურთების სხვაობა 37:31 ჰქონდა.

„კრუზეიდერსს“ სათავეში უდგას როი უოქერი, რომელმაც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განაცხადა, ეჭვიც არ შეპარებოდა, რომ ჩემპიონები გავხდებოდითო. აღსანიშნავია, რომ უოქერი ჩრდილო ირლანდიის სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი კი გახდა ამავე გუნდის თავდამსხმელი სტივენ ბაქსტერი. ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირობისთვის ბრძოლა „კრუზეიდერსის“ წევრმა გლენ ჰანთერმა წააგო, მაგრამ 12 გოლით გლენავონელ ფერგიუსონთან ერთად მეორე ადგილზე გავიდა.

ჩრდილო ირლანდიის თასის წლევანდელ გათამაშებში დინამოელთა მეტოქე მეოთხედფინალში „კლიფტონვილთან“ დამარცხდა 1:3.

ჩემპიონის წლევანდელი შემადგენლობა ასეთი გახლდათ: კევინ მაკკიუნი (შოტლანდიელი მეკარე), ტრევორ მაკმალანი, არონ კალაგენი (ირლანდია), გლენ ლანლოპი, გრეი მაკკარტნი, ჰოლ დუაიერი, სტივენ ლიმინგსტონი, დონალ ობრეინი (ირლანდია), სიდ ბაროუზი, სტივენ ბაქსტერი, გლენ ჰანტერი.

როგორც კი კენჭისყრამ „დინამოს“ მეტოქე გამოავლინა, „სარბიელის“ ლონდონელმა კორესპონდენტმა დაავით ჰჭედლიშვილმა ბელფასტში, მოწინააღმდეგეთა კლუბის ოფისში დარეკა, სადაც უპასუხეს, რომ „კრუზეიდერსს“ არც პრეს-ატაშე ჰყავს და არც საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. მთელ გუნდში ორად ორი კაცია, ვისაც რაიმე კომენტარის თქმა შეუძლია და ორივე შვეიცარიაშია, კენჭისყრაზეაო. საინტერესოა, რომ ოფისში ტელეფონის ნაცვლად ჰქონიათ ტაქსაფონი, ანუ ჩვენებურად ქუჩის ტელეფონი, რომელშიც ხურდა ფულის ჩაყრაა საჭირო.

დინამო მინსკი — კოლხეთი

UEFA CUP

მინსკის „დინამოზე“ ნარმოდგენაც არ მაქვს

ამბობს ვახტანგ ხაინდრავა

გუშინ, როგორც კი ჟენევაში ევროთასების წილისყრა დასრულდა, რედაქციაში სატელეფონო ზარები არ წყდებოდა. ყველას აინტერესებდა, ვინ შეხვდა ჩვენს გუნდებს. ამათგან ერთ-ერთი ზარი გამორჩეული გახლდათ — ფოთის „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ ხაინდრავა შეგვეხმიანა: ბუნებრივია, თავისი გუნდის მომავალი მეტოქის ვინაობის გაგება სურდა. როცა ვუთხარით, მინსკის „დინამოსთან“ გექნებათ საქმეო, ვერ გეტყვით, რომ გაუხარდა, მაგრამ არც ისეთი ტონი ჰქონდა, ეწყინაო, ვთქვათ:

— უკეთესი მეტოქეც შეიძლებოდა გვრგებოდა. თუმცა, არა მგონია, მინსკის „დინამო“ ის გუნდი იყოს, ვისთანაც თამაში არ შეიძლებოდეს, შეიძლებოდეს კი არა, ისე მგონია, უპირატესობა ჩვენ გვაქვს — პირველი მატჩი ხომ მინსკში უნდა ვითამაშოთ. მოკლედ, ბედს ვერ გავექცევით და მაქსიმალურად ვეცდებით, უეფას თასზე იღბლიანი დებიუტი გვქონდეს.

ბათუმი — არარატი

Cup Winners' Cup

სომხები შემოგვეჩვივნენ

როცა შევიტყვეთ, „ბათუმს“ ერევნის „არარატი“ შეხვდაო, გამოვიტყდებით და, ცოტა არ მესიამოვნა: რაც უნდა იყოს, სომხები არიან, ამათი ამბავი კი, ხომ იცით — გულში თუ რამე ჩაიდეს, მტრისას. არადა, ამ ბოლო დროს, ყველამ კარგად იცით, ჩვენი მეზობლები რამდენჯერ გავამწარეთ, ბოლოს რევაზ გაგუას ჭაბუკთა ნაკრებმა „ასიამოვნა“ გუშინწინ სომეხ თანატოლებს.

მოკლედ, ჰაოსიანნი აღარ გვეშვებიან და ღმერთმა ქნას, „ბათუმი“ ამათ ისე გასწორებოდეს, საბოლოოდ ეთქვათ — რას ვიზამ, ქართველები ჩვენზე მაგრები ყოფილანო და ქართული გუნდების ხსენებაზე ბევრი თუ არა, ცოტა მაინც ენერვიულოთ.

წუხელ ბათუმელთა მთავარ მწვრთნელს შოთა ჭეიშვილს ბევრჯერ შევეხმიანეთ, მაგრამ ამაოდ — „ბათუმი“ „ლოკომოტივთან“ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ნატანებში ყოფილა და ამათ შორის გამართული პირველი მატჩის მსგავსად გუშინაც ფრედ უთამაშია. სამაგიეროდ, კენჭისყრის კომენტარი „ბათუმის“ ტექნიკურ დირექტორს **მევლუდ ცინარიძეს** ვთხოვეთ.

— ჯერ ადრეა გამართლება-არგამართლებაზე ლაპარაკი. ყველაფერს მატჩი გვიჩვენებს. ისე, არ დაგიმალავთ და, გეტყვით, რომ მერჩივნა „არარატის“ ნაცვლად ლიხტენშტაინის ან მალტის გუნდები შეგვხვედროდა. თუნდაც იმიტომ, რომ ესენგეს თითქმის ყველა ქვეყნის გუნდებთან ძნელია თამაში. ყველას ძველი თუ ახალი ანგარიშები აქვს გასასწორებელი, მითუმეტეს სომხებს...

— შანსებს როგორ შეაფასებდით?

— ხომ გითხარით, ჯერ ადრეა ლაპარაკი. დღეისთვის შანსები თანაბარია. თანაც, წარმოიდგინეთ, როგორ გაგვჭირდება — „არარატზე“ ხომ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. თუმცა ერთი კი ვიცით — ჩვენი მეტოქე სომხეთის თასის მფლობელია.

— „არარატთან“ შეხვედრამდე ჩვენი ჩემპიონატიც დაიწყება.

— ეგ, რა თქმა უნდა, კარგია. ბიჭები ცოტა სათამაშო პრაქტიკას მიიღებენ, მაგრამ აჯობებდა სომხებთან პირველი მატჩი მაინც ერევანში გვეთამაშა.

ძოგა ინასარიძე

„არარატი“ ერევანი

„არარატმა“, საბჭოთა კავშირის 1973 წლის ჩემპიონმა, იმავე და 1975 წლის თასის მფლობელმა, სომხეთის წლევანდელ თასამდე ასეთი გზა გაჰქონდა: მეოთხედფინალში მოუგო ვიუშრის „შირაქს“ (1:0, 1:1), ნახევარფინალში „ცეშენტს“ (2:0, 2:0), ფინალში კი თანაქალაქელსა და ქვეყნის ჩემპიონ „პიუნიკს“ 1:0 აჯობა. ერთადერთი გოლი არარატელმა ბაბაიანმა გაიტანა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ჰ. აბრამიანი, ასოიანი, კსპეიანი, აივაზიანი, მკრიანი (ამირიანი 30), ვ. აბრამიანი, ჰოვაქიმიანი, გალსტიანი, ა. მინასიანი (ეოჩარიანი 76), ბაბაიანი (ბარსეღიანი 72). გუნდის მწვრთნელია არკადი ანდრეასიანი.

„დინამო“ მინსკი

დაარსდა 1928 წელს
თამაშობს „დინამოს“ სტადიონზე, ტევადობა 50 000
სსრკ ჩემპიონი — 1997
ბელარუსის ჩემპიონი — 1992, 1993, 1994, 1995, 1996 (წამყვანდგომა ჩემპიონატი)
ბელარუსის თასი — 1992, 1994

ბელარუსის ჩემპიონატი საქართველოსგან განსხვავებით ძველებურად, გაზაფხულზე იწყება და შემოდგომაზე მთავრდება. აშკარად იქ ცამეტი ტურია ჩატარებული, „დინამო“ „ბელშინასა“ და „ლოკომოტივის“ შემდეგ მესამე ადგილზეა. სხვაობა ლიდერსა და „კოლხეთის“ მეტოქეს შორის რვა ქულაა: „ბელშინას“ 34 აქვს, „დინამოს“ — 26. დღეს მინსკელები მეთოთხმეტე ტურის მატჩს თამაშობენ აუტსაიდერ „კომუნალნიკთან“. მინსკის „დინამოს“ მწვრთნელად ერთი თვეა რაც დანინშნა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ანატოლი ბაიდაჩნი, რომელმაც ივან შჩოკინი შეცვალა.

ცხადია, უეჭველ თასზე მონაწილეობის უფლება „დინამომ“ გასული წლის ჩემპიონატის შედეგის მიხედვით მოიპოვა: მეორე ადგილზე გავიდა და ერთი ქულით ჩამორჩა მოზარის გუნდს. ოცდაათი თამაშიდან დინამოელებმა გაიმარჯვეს ოცდაცამეტში, ერთხელ წააგეს, ექვსჯერ კი ფრედ ითამაშეს. ბურთების შეფარდება 83:20 ჰქონდათ. რაც შეეხება თასის ბოლო გათამაშებას, აქ მინსკელებმა მეოთხედფინალში 1:0 აჯობეს ბრესტის „დინამოს“, შემდეგ კი თანაქალაქელ „დინამო 93“-თან იწვნიეს მარცხი — 2:4.

სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

ინტერტოტოს გათამაშება. IV ტური

12 ივლისი			
დუისბურგი — ჰერენვენი	1,05	6,0	12,0
0:1	1,2	3,4	6,0
ოლბორგი — დინამო 93	1,6	3,0	4,2
გრაცერი — დრაგოვილიაცი	1,2	4,0	8,0
ოსერი — ანტვერპენი	1,3	3,4	6,5
ლოზანა — არდსი	1,05	6,0	12,0
0:1	1,15	3,6	6,0
კორკ სიტი — კიოლნი	10,0	5,0	1,1
1:0	4,0	3,2	1,4
დინამო (მოსკოვი) — გენკი	1,3	3,4	6,5
პანახაიკი — ბოლტფელაგიდი	1,05	6,0	12,0
0:1	1,15	3,6	6,0
სამსუნსფორი — ლეიფტური	1,1	5,0	10,0
0:1	1,3	3,2	5,0
ვერდერი — ისტანბულსფორი	1,2	4,0	8,0
ესტერი — უნივერსიტატე	1,1	5,0	10,0
ტურკუ — ლომელი	2,7	3,0	2,0
ჰაიდუკი — კონგსვინგერი	1,4	3,3	5,0
ლიონი — აუსტრია	1,1	5,0	10,0
0:1	1,3	3,2	5,0
ოდრა — ჟილინა	1,9	2,9	3,0
ვარნა — მონპელიე	8,0	4,0	1,2
გრონინგენი — ვლორია	1,5	3,0	5,0
ნოვგოროდი — ანთალიასფორი	1,1	5,0	10,0
პროლეტერი — პუბლიკუმი	1,3	3,4	6,5
ფლორიანა — ტორპედო	12,0	6,0	1,05
1:0	6,0	3,4	1,2
რიდი — მერანი	ანგარიში — 4,5		
13 ივლისი			
ებიუ ვეილი — ბასტია	12,0	6,0	1,05
1:0	6,0	3,1	1,2
სტანდარდი — მაკაბი	1,3	3,4	6,5
კაუნასი — ჰამბურგი	8,0	4,7	1,15
შვეიცარიის ჩემპიონატი. III ტური			
12 ივლისი			
ბაზელი — კარუჟი	1,5	3,0	5,0
კრინსი — ლუცერნი	2,2	2,7	2,6
სერვეტი — ლოზანა	1,9	2,9	3,0
სიონი — გრასჰოპერი	1,7	2,9	3,8
სენტ გალენი — ქსამაქსი	2,9	2,8	2,0
ციურიხი — არაუ	1,8	2,9	3,3

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

სარეკლამო სააგენტო კოკი და კომპანია

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მისაწვევი ბარათების დამზადება

25% ფასდაკლებით!!!

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ეკონომიკის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

პირველი და მეორე ეტაპი — UEFA CHAMPIONS LEAGUE

ბაიერი ლევერკუზენი, გერმანია	**კრუზეიდერსი — დინამო** ჩრდ. ირლანდია საქართველო
ოლიმპიაკოსი საბერძნეთი	**კონსტრუქტორული — მ.პ.კ.ც.** მოლდოვა მოზირი, ბელარუსი
მარიბორი — დერი სიტი სლოვენია ირლანდია	**ბეშიქთაში** თურქეთი
კოშიცე — აკრანესი სლოვაკეთი ისლანდია	**სპარტაკი** მოსკოვი, რუსეთი
ნიუკასლ იუნაიტედი ინგლისი	**პარტიზანი — კროაცია** ბელგრადი, იუგოსლავია ხორვატია
სიონი — ჟენესი შვეიცარია ეში, ლუქსემბურგი	**გალათასარაი** თურქეთი
ბარსელონა ესპანეთი	**ვალეტა — სკონტო** მალტა ლატვია
პიუნიკი — მ.ტ.კ. სომხეთი უნგრეთი	**რუსენბორგი** ნორვეგია
სილეკსი — ბეითარი მაკედონია იერუსალიმი, ისრაელი	**სპორტინგი** ლისაბონი, პორტუგალია
სტიაუა — ცსკა რუმინეთი სოფია, ბულგარეთი	**პარი სენ ჟერმენი** საფრანგეთი
ფეიენოორდი ჰოლანდია	**ლანტანა — ჯაზი** ესტონეთი ფინეთი
გიოტებორგი შვედეთი	**გოტუ — გლასგო რეინჯერსი** ფარერები შოტლანდია
ნეფთჩი — ვიკევი აზერბაიჯანი პოლონეთი	**პარმა** იტალია
ბრონდბიუ დანია	**დინამო — ბერი თაუნი** კიევი, უკრაინა უელსი
ანორთოსისი — კარედა კვიპროსი ლიტვა	**ლიერსი** ბელგია
აუსტრია — სპარტა ზალცბურგი, ავსტრია პრაღა, ჩეხეთი	

UEFA CUP

დინამო — კოლხეთი მინსკი, ბელარუსი საქართველო	
ფლორა — აპოელი ესტონეთი ფეთაჰ თიკვა, ისრაელი	
დნეპრი — ერევანი უკრაინა სომხეთი	
ინკარასი — ბოზი ლიტვა ბრნო, ჩეხეთი	
მიუპა — აპოლონი ფინეთი ლიმასოლი, კვიპროსი	
სელტიკი — ინტერი შოტლანდია კარდიფი, უელსი	
ძსამაძსი — ტილიგული შვეიცარია მოლდოვა	
ჰაიდუკი — გრევენმახერი სპლიტი, ხორვატია ლუქსემბურგი	
გრასჰოპერი — კოლრეინი შვეიცარია ჩრდ. ირლანდია	
ვოივოდინა — ვიკინგი იუგოსლავია ნორვეგია	
რეიკიავიკი — დინამო ისლანდია ბუქარესტი, რუმინეთი	
ბოჰემიანსი — ფერენცვაროში ირლანდია უნგრეთი	
ყარაბაღი — იაგლონეცი აზერბაიჯანი ჩეხეთი	
სპარტაკი — ბირკირკარა ტრნავა, სლოვაკეთი მალტა	
ოდრა — პოგედა. პოლონეთი მაკედონია	
დაუგავა — ვორსკლა ლატვია პოლტავა, უკრაინა	
ბრანი — ნეფტოხიმიკი ნორვეგია ბულგარეთი	
პრინჩიპატი — დანდი იუნაიტედი ანდორა შოტლანდია	
გორიცა — ოცელული სლოვენია რუმინეთი	
კლაკსვიკარი — უიპეშტ დოჟა ფარერები უნგრეთი	

პირველი ეტაპი — Cup Winners' Cup

ბათუმი — არარატი საქართველო სომხეთი	
ზიმბრუ — შახტიორი მოლდოვა უკრაინა	
ლეგია — გლენავონი პოლონეთი ჩრდ. ირლანდია	
ძვიმბრანი — ნაციონალი უელსი რუმინეთი	
ჟალგირისი — აპოელი ლიტვა ბ-შ, ისრაელი	
დინაბურგი — ძიაფაზი ლატვია აზერბაიჯანი	
კილმარნოკი — შელბურნი შოტლანდია ირლანდია	
ჰ.ი.კ. — ცრვენა ზვეზდა ფინეთი იუგოსლავია	
იუგომაგნატი — ზაგრები მაკედონია ხორვატია	
ვაშაში — ბალცერსი უნგრეთი ლიხტენშტაინი	
სადამი — ბელშინა ესტონეთი ბელარუსი	
პრიმორიე — უნიონი სლოვენია ლუქსემბურგი	
ლევსკი — სლოვანი ბულგარეთი სლოვაკეთი	
ჰიბერნიანსი — ვესტმანაეიარი მალტა ისლანდია	
აპოელი — ჰაფნარი კვიპროსი ფარერები	

ჩემპიონთა ლიგაში მოცემულია ორი ეტაპის წილისყრის შედეგები. მაგალითად, „სიონსა“ და „ჟენესს“ შორის გამარჯვებული მეორე ეტაპის პირველ მატჩში „გალათასარაის“ უმასპინძლებს და ა. შ.

მეკარეობა სხვა რამაა

ოთარ გაბელიას წარდგენა არ სჭირდება. საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ამ მხრივ გარკვეული წარმატებებიც მიითვალა. მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით მოუგო ზუგდიდში „ოდიშმა“ ერთად-ერთი მატჩი ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს. მერე იყო კახელთა „ალაზანი“ და ბრინჯაოს მედალი. ამას „დურუჯის“ უძლიერესთა შორის ჩარიცხვა მოჰყვა. შემდეგი სადებიერო მარნეულის „ალგეთის“ თავკაცობა გახლდათ, მაგრამ უსახსრო და ყურადღებამიუქცეველი გუნდი შუა გზაში ისე დაიშალა, მისი აწყობა ვერავინ მოახერხა და ოთარ გაბელიაც ერთგულ გუნდში „დაფუძნდა“: წარსულში ცნობილ მეკარეს და უკვე გამოცდილ მწვრთნელს ნაკრების მეკარეები ჩააბარეს. ასე იყო ჩიკვაძის დროს, ასეა ახლაც, ყიფიანის პერიოდში. მოკლედ, ეროვნულ ჩემპიონატში გარკვეული შედეგების მიმღწეელი მწვრთნელი ჩვენი რომელიმე კლუბის თავავრ მწვრთნელობას თითქოს არც აბირებდა, მაგრამ ახლახან თბილისურმა თსუ-მ ადრინდელი მწვრთნელი სხვა სამუშაოზე გადაიყვანა და გუნდი გაბელიას ჩააბარა...



ბუნება დულუბაჯავილის ფოტო

— ახალი ჩემპიონატი მალე დაგვეწყება და გუნდს საფუძვლიანი მომზადება სჭირდება. გასული სეზონის ჩამთავრების შემდეგ თსუ-ს ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზა. ბრმად ხომ არ დავთანხმდებოდი — დავსხედით, ვისაუბრეთ, ვითათბირეთ და შევთანხმდით კიდეც. ამის შემდეგ ოფიციალურად კლუბის მთავარი მწვრთნელი გახლავართ.

— ბუნებრივია, გარკვეულ მოთხოვნებსაც წაუყენებდით კლუბის ხელმძღვანელებს.

— ქვეყანას რომ უჭირს, არახალი ამბავია და, ბუნებრივია, არც გუნდები არიან დალხენილნი, მაგრამ მე მაინც მოვითხოვე, რომ იტყვიან, სასიცოცხლოდ აუცილებელი: პირველ რიგში ხელფასების საკითხი მოვაგვარეთ. უკეთესია, ფეხბურთელს გარკვეული ოდენობის თანხა შესთავაზო, თუნდაც მინიმალური, და კუთვნილი ფული არ დაუგვიანო, ვიდრე ცა და დედამიწა დაუმტკიცო და მოატყუო. მოთამაშე, რომელიც სამოოთხი თვე ხელფასს არ მიიღებს, ფეხბურთის თამაშზე არ იფიქრებს. მერე მოდის საჭირო ინვენტარით გუნდის მომარაგება — ფეხბურთელს რომ ბუცები არა აქვს, მინდორზე არაფერი ესაქმება. ამათ შეკრების მოწყობა, შედარებით ნორმალური კვება და ტრანსპორტირება მოჰყვება. მოკლედ, ამ საკითხებში გაუგებრობა არ წამოჭრილა. ძმები ცხვარაძეები ნორმალური ხალხია, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მათი მამა, ვალერიან ცხვარაძე იქნება. ახალი პრეზიდენტი გუნდის არცერთ ვარჯიშს არ აცდენს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი მოთხოვნები კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო. აწი ჯერი ჩვენზეა.

— ამის სანაცვლოდ ხელმძღვანელობა რა შედეგს ითხოვს?

— უმალვე ციდან ვარსკვლავები მოგვეკრიფეთო, არავის უთქვამს. დაიგეგმა ის, რაც შესაძლებლობებს არ აღემატება. კლუბის ხელმძღვანელებს ახალ ჩემპიონატში ექვსეულში დამკვიდრება სურთ. რა თქმა უნდა, უფრო მაღალი ადგილის დაკავებაც არ ეწინააღმდეგებათ, მაგრამ პროგრამა მაქსიმუმი ექვსეულში მოხვედრაა. ვნახოთ, რა იქნება...

— ბოლოს მთავარ მწვრთნელად მარნეულში მუშაობდით. მას შემდეგ ბევრი კი არა, მაგრამ საკმაო ხანი გამოხდა. ეს პრობლემას ხომ არ შეგიქმნით?

— მართალია, გუნდი არ მებარა, მაგრამ მთლად უსაქმოდაც არ ვიყავი. ნაკრებში ჩემი საქმე მქონდა, თანაც მონაწილეობას ჯგუფურ ვარჯიშებშიც ვიღებდით. რა თქმა უნდა, პრაქტიკული დონე შეიძლება მცირედ დაქვეითდა, მაგრამ საგანგაშოდ არა. მოსამზადებელ პერიოდში ყველაფერი აღდგება.

— თსუ-ს რომელი რგოლებია გასაძლიერებელი?

— წინა სეზონში უნივერსიტეტელთა რამდენიმე თამაში ვნახე. თითქოს ურიგოდ არ თამაშობდნენ და არც გასაჭირში უნდა ჩაეგდოთ თავი, მაგრამ ასე კი მოხდა. ერთი-ორი ფეხბურთელის დამატება ყველა რგოლში მოგვიწევს, განსაკუთრებით თავდასხმა იქნება გასაძლიერებელი. გუნდი საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდაო, ვერ ვიტყვიან, ოღონდ მათი გამოყენების პროცენტი გახლდათ მინიმალური. ახალი სეზონისთვის ვეცდებით, ქართული ფეხბურთის სენად ქცეულ ამ ჭირს ვუშველოთ.

— თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ თსუ ჯერ სრულად არ დაკომპლექტებულა...

— ნაწილი დავიმატეთ, ნაწილს ახლაც ვაკვირდებით. სასურველ ფეხბურთელებს ჯერ პირობებს ვაცნობთ, მერე მათ ვარჯიშებზე ვამოწმებთ. დღეს მარტო საჩელით ფეხბურთს ვერ ითამაშებ. ისეთი მოთამაშეები უნდა შეიგულო, რომლებიც კლუბს გამოადგებიან. გუნდში ჯერ ოც ფეხბურთელს ავიყვანთ. სწორედ ისინი წამოვლენ შეკრებაზე ლაგოდეხში. იქიდან დაბრუნებულები კიდევ შევიტანთ კორექტივებს შემადგენლობაში და ყვავილნარში შეკრებაზე უკვე დაკომპლექტებული და ჩამოყალიბებული თსუ წავა. ყვავილნარიდან პრიდაპირ ფოთში ჩავალთ პირველ კალენდარულ მატჩზე. ფოთი ძლიერი გუნდია, ზღვისპირეთში თამაშს კი გარკვეული ადაპტაცია სჭირდება.

— თსუ მცხეთაში დაფუძნდა. დაირხა ხმები, ადრინდელი „არმაზი“ თბილისური გუნდის ფარმ-კლუბი გახდებაო?

— არა, ჩვენი ფარმ-კლუბი ადრინდელივით თსუ 2 იქნება, მაგრამ ალბათ უნივერსიტეტელები ჩემპიონატში „თსუ-არმაზის“ სახელით გამოვლენ.

— სავარჯიშოდ სოფელი მუხრანი აგირჩევიათ. მცხეთაში მსგავსი პირობები არ იყო თუ...

— პირობები როგორ არ იყო. უბრალოდ, მინდვრის საფარის გაფუჭებას მოვერიდეთ. მუხრანში ავდრის შემთხვევაში დავდივართ. რაც უფრო კომფორტული სტადიონი გვექნება, მით უკეთესია ჩვენთვის.

...ამის შემდეგ თსუ-ს პრობლემებზე საუბარი არ გაგვგრძელებია. მითუმეტეს, რომ ახალ სეზონში თურმე განახლებულ გუნდს ვიხილავთ, რომელსაც სუსტთა შორის მოხვედრა და ბოლო თამაშებში თავის დაძვრენა არად ეპიტნავება. ცნობილ მეკარესთან და გამოცდილ სპეციალისტთან საუბარი მეკარეთა პრობლემებზე გავაგრძელეთ. ბუნებრივია, უპირველესად ეროვნული გუნდის გოლკიპერთა თაობაზე კიკითხე...

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული გუნდის კარის დარაჯთა თამაში დადებითად ვერაფრით შეფასდება. იქნებ იტალიასთან ვიხილოთ სხვა მეკარეები?

— ცვლილება აუცილებლად იტალიასთან იქნებაო, ვერ შეგეპირდებით. მინდა ყველამ სწორად გამიგოს. პოლონური ფიასკო მთლად ზოიძეს რომ გადავაბრალოთ, სწორი არ იქნება, იქ მთელი გუნდი დამარცხდა. არც ის იქნება ტყუილი, თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოში ზოიძე და ტოგონიძე საუკეთესოები არიან, როგორც მომზადების დონით, ასევე გამოცდილებითაც. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შეუცვლელები არიან. ცოტა ტრაფარეტულად კი გამომდის, მაგრამ სულ იმას ვამბობთ, ნაკრების კარი ყველა ღირსეულისთვის ღია გახლავთო, ჰოდა, ამიტომ ახალი კანდიდატებიც გვყავს. მაგალითისთვის დევაძე ავიღოთ. კაკომ გუნდი. გამოძებნა, მართალია, ამ კლუბმა ისრაელის ჩემპიონატში ვერ ივარგა, უძლიერესთა შორის ადგილი დაკარგა, მაგრამ დევაძე უმალ უმაღლესი ლიგის „აპოელმა“ გადაიბირა. კაკო რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. მასზე კარგი ინფორმაციები მოგვდის. ასევე ყურადღების ცენტრში არიან გრიშიკაშვილი, ჩხეიძე და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებიც. ჩვენ მათ ვაკვირდებით, ინფორმაციებს ვაგროვებთ და, ალბათ, შანსიც მიეცემათ.

— გეგულებათ კი ჩვენს მომავალ მეკარეებში ისეთი, ევროპული კლასის გოლკიპერი რომ დადგეს?

— ახალგაზრდობა კარგი მოდის — ბათიაშვილი, ნიკურაძე, ლომაია. ამათ პერსპექტივა აქვთ და ზრდა ეტყობათ. მათი პროგრესი აშკარაა. თუნდაც დათო გვარამაძე ავიღოთ — კარგი მეკარე უნდა დადგეს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამას ფეხბურთის დიდი სიყვარული და გარჯა უნდა დაემატოს. ასე რომ, თუ მოინდომებენ, ბრწყინვალე კანდიდატები გვეყოლება.

— შრომა ყველა სახეობისთვის აუცილებელია, მაგრამ მწვრთნელზეც ბევრია დამოკიდებული. ადრე ჩემთვის გითქვამთ, მეკარის მომზადება ცალკე სფეროა, ამისთვის ევროპაში და სხვაგან საგანგებოდ მუშაობენ სპეციალისტებიო. ჩვენში როგორ არის საქმე?

— ყველა საფეხბურთო ქვეყნის ნაკრებს თუ კლუბს ჰყავს მეკარეების გამწვრთნელი. პრაქტიკამ აქაც იცილებლობა და ბევრ შეცდომას ვეღარ ვიპოვ. ჩვენთან ამ მხრივ ცუდი ვითარებაა. სანამ თსუ-ს მწვრთნელად დანიშნავდნენ, „დინამოს“ ბავშვთა სკოლაში ვარჯიშს ვატარებდი. ბატარა მეკარეებმა ისიც კი არ იციან, სხეულის რა ნაწილით დაეცნენ, ანაც ბურთს როგორ დაუხვდნენ. მე მათ მწვრთნელებს არაფერს ვაბრალებ. როცა ოცზე მეტი ბავშვი გაბარია, ცალკე ამპლუების მიხედვით ძნელია მუშაობა. ამიტომ არ იქნებოდა ურიგო, მეკარეთა სპეციალური სკოლა გაგვეხსნა. არიან ყოფილი გოლკიპერები, რომელთაც გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ. მოვიწვიოთ ისინი. ახლახან სემინარები ჩავატარე თბილისში, ზუგდიდში და ყველას ვურჩიე, რომ გუნდში მეკარეთა მწვრთნელი იყოლიონ. სპეციალისტი სულ სხვაა. სხვაგვარად საქმე წინ ვერ წაა. მეკარე განსაკუთრებული მომზადება სჭირდება.

— როგორი უნდა იყოს თანამედროვე გოლკიპერი?

— მაღალი კლასის მეკარე აუცილებლად ათლეტური და ფიზიკურად ძლიერია სასურველი. რეაქციაზე ზედმეტია საუბარი. მეკარეს თამაშის წარმართვა უნდა შეეძლოს, მან ყველა საფეხბურთო ეშმაკობა უნდა იცოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხით კარგ თამაშს. აუცილებელია, დინჯი, რკინის ნერვების მქონეც იყოს. ყველამ იცის, მწვრთნელი გუნდში რომ მიდის, კარგ გოლკიპერს ეძებს, რადგან კარგი მეკარე ნახევარი გუნდია.

— ბოლოს თქვენს ვაჟზე კითხავთ. გიორგი გაბელია მეკარეა. როგორც სპეციალისტი და არა მამა, რას იტყოდით მასზე?

— გიორგი კარგა ხანია თამაშობს. ვარჯიშობდა ხიზანიშვილთან, დარსაძესთან. იყო „მერანში“, ბათუმში. ახლა ზუგდიდშია, ხურცილავა მეთვალყურეობს. სწორედ მას ვთხოვე, გიორგი „ოდიში-2“-ში დაემტკიცებინათ, რადგან მეკარისთვის ვარჯიში აუცილებელი კია, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა სულ სხვაა. შვილზე ძნელია საუბარი, მაგრამ მონაცემები კარგი აქვს. ჩამოყალიბებამდე ბევრი აკლია. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული — იშრომებს, ნაკლოვანებებსაც გამოასწორებს. ნაკლი ყველას აქვს, მაგრამ უფრო მეტი დატვირთვა ყველანაირად გამოაწრთობს. თვითონაც ხედავს, რომ ფეხბურთს დიდი გაქანება აქვს. იცის, მომავალში ამით ოჯახსაც თავისუფლად არჩენს. კეთილსინდისიერია, მაგრამ თუ 25 წლამდე მაღალ დონეზე ვერ ითამაშა, მერე ძალიან გაუჭირდება. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

მამუკა ძვანტალიანი

შიში ჩემთვის უცხოა

ბუნება დულუბაჯავილის ფოტო

ერთი წლის წინ მერანელ ალეკო გოგობერიშვილს, ალბათ, სპეციალისტთა ვიწრო წრეში თუ იცნობდნენ, წლევანდელმა სეზონმა კი ყველაფერი შეცვალა — ახალგაზრდა, 19 წლის ბიჭი, თანდათან თბილისელთა ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მისით ვოცა გუცაევიც დაინტერესდა და ნაკრებში მიიწვია. ალეკოს თამაშს გულგრილი არც უცხოელი მენეჯერები დაუტოვებია.

...დღეს, როდესაც ქართული ფეხბურთი მძიმე კრიზისს განიცდის, ამა თუ იმ გუნდზე, ანაც მოთამაშეზე ნათქვამი ორიოდე თბილისელის სიტყვაც კი, მკითხველის სკეპტიციზმსა და ერთგვარ გაღიზიანებასაც იწვევს. თითქოს აღარც გვჯერა, რომ ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს — არადა, ასეთნი მართლაც არიან. ესაა, ჩვენდა სამწუხაროდ, მათ სასურველი კალაპოტი ნაკლებად ეძლევათ და მზოლოდ ნიჭიერებადეე რჩებიან.

არ მსურს, ისეთი სურათი დავხატო, თითქოს გოგობერიშვილი დღეს ჩამოყალიბებული ვარსკვლავია, არა, დაოსტატებამდე მას დიდი შრომა და ოფლისღვრა მოუწევს, მაგრამ ასეთთა ხელშეწყობითა და თანადგომით ქმნიან „კარგ“ უცხოეთში ძლიერ ფეხბურთელებს. იმედია, ალეკოც მათ გზას დაადგება.

...ალეკოს „მერანის“ თავკაცების მიმართ მადლიერების გრძნობა, ალბათ, მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვება. მას ხომ ამ გუნდში გამოუცხადეს პირველად ნდობა, თავის გამჩენის საშუალებაც მისცეს.

— მოთამაშისთვის ნდობა ბევრს ნიშნავს. როდესაც მწვრთნელს უყვარხარ და შენი იმედი აქვს, ბუნებრივია, გრძნობ და საკუთარი თავისადმი მომთხოვნიც ხდები და თავდაჯერებულიც. ამისთვის ვარ თემურ მახარაძის მადლიერი. მასთან „დინამო-2“-ში ვთამაშობდი და შემდეგ „მერანშიც“ წამიყვანა. 19 წლის ბიჭი ყველა პრინციპულ შეხვედრაში დამაყენა. ასეთ პირობებში, მოთამაშე უნდა გაიზარდოს კიდეც.

...ნდობა მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავსო, თავადაც თქვა, მით უფრო პატივმოყვარე და დიდ ფეხბურთის მოწყურებული გოგობერიშვილისთვის. მას ხომ თავის დროზე 16 და 18 წლამდელთა გუნდში არ უთამაშია. მაშინ არ ენდობოდნენ. მაგრამ ალეკოს ყურები კი არ ჩამოყარა, პირიქით, ნაკლზე ჩაფიქრდა და მის გამოსწორებას შეუდგა.

— ტრაბახში არ ჩამომართვათ და ბავშვობაში კარგად ვთამაშობდი. მერე გარდატეხის პერიოდში 2-3 წელი დიდი ჩავარდნა მქონდა, ჩემი თავი მეზიზღებოდა, ველარც ფეხბურთი გამომდიოდა და არც მიკვირს, მწვრთნელები რომ არ მენდობოდნენ. მაგრამ, საკვარელი საქმის გარეშე ცხოვრება არ მიღირდა, ვიშრომე, ვიწვალე და დაკარგულიც აღვიდგინე.

— ამ ჩავარდნის მიზეზზე არ გიფიქრია?

— ზომა-წონა ვერ ვიპოვე ქუჩასა და ფეხბურთს შორის. ცალკე ასაკის გამოც ზერელედ ვვარჯიშობდი. დროზე მივხვდი, რომ ეს უაზრო ცხოვრება იყო. ახლა, ვფიქრობ, ფეხბურთისადმი სწორი დამოკიდებულება მაქვს. მით უფრო, რომ პერსპექტივა დავინახე. ეს ჩემი პროფესიაა. ძმაკაცები, მეგობრები რომ დავივიწყო, ასე არც ფეხბურთი მინდა და არც სხვა საქმე, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს.

...ნიჭი ნიჭადვე დარჩება, თუკი მოთამაშე მშიშარაა და ბრძოლის ჟინი აკლია. ალეკო კი სწორედ მებრძოლი და უშიშარია. შეიძლება თამაში არ გამოუვიდეს, მაგრამ ვერავინ იტყვის, მეტოქის შეშინდაო. ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე ჩანდა იმ საერთაშორისო თამაშებში, რომლის ნახვაც მომიხდა და ასე ამბობს თავად ალეკოც:

— მეტოქისადმი შიში ნაღდად არ მქონია. ეს გრძნობა ჩემთვის საერთოდ უცხოა. ის კი არა, ნერვიულობაც არ მჩვევია. არ მიყვარს უჯიგროდ თამაში. შეიძლება წაგო, მაგრამ ღირსება არ უნდა დაკარგო. „ტორპედოსთან“ მოვიგებდითო, ვერ ვიტყვი, მაგრამ რწმენა რომ გვაკლდა და გამოუცდელნიც ვიყავით, უარესად გამოვჩნდით. საბერძნეთში კი უფრო მეტად თავდაჯერებულნი გახლდით, თუმცა, რად გინდა, ისეთი დაქანცულები... აღარც მინდა იმ დღეების გახსენება... „ფლორიანას“ კი აშკარად ვაჯობეთ.

— ახლა ნაკრებზეც ვისაუბროთ. გუცაევი უკვე სტაბილურად გიწევს და გუნდში ვითარებასაც კარგად იცნობ. ფაქტია, რომ მას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, ისეთი, როგორც ეროვნულში ქეცბაიაა, მაგრამ უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს...

— ეს უდავოა და ვოვა გუცაევის დამსახურებაა. ჩვენ კოლექტიურ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩემზე კი იმას ვიტყვი, რომ ბოლო ორი მატჩი აშკარად არ გამომივიდა, გადავიღალე და ჩემი უნარი, რაღა დავმალო, ნამდვილად ვერ გამოვავლინე. პოლონეთთან შეხვედრის შემდეგ სამი დღე დავისვენე და ეს „ტორპედოსთან“ თამაშისას აშკარად შემეტყო. მთელი სეზონი შეუცვლელად ვითამაშე გუნდში, ნაკრებშიც დამიძახეს და ასეთ დაძაბულ რიტმს შეუჩეველი ვიყავი. დამიჯერეთ — ისე გადავიღალე, ერთი ხანობა მოედნისკენ გახედვაც მიჭირდა. ცოტა ხნით დასვენება მსურდა. თემურ მახარაძემ მითხრა, დაფიქრდი, რას აკეთებო. მეც დავიწყე ვარჯიში და კიდევ კარგი, ასე მოვიქეცი. შედეგების მიუხედავად, ინტერტოტოზე თამაში ყველა მოთამაშეზე დადებითად იმოქმედებს.

— კარიერის გაგრძელებას სად აპირებ? იქნებ „მერანში“ რჩები?

— ეს გამორიცხულია. „მერანს“ აუცილებლად დავტოვებ, მაგრამ სად წავალ, ჯერ ვერ გეტყვით. უცხოეთში წასვლის დიდი სურვილი მაქვს და ალბათ, ასეც იქნება. ვერ ვიტყვი, საქართველოს ჩემპიონატის დონეს გადავაჭარბე და არიქა, ძლიერ გუნდში გადავდივარ-მეთქი, მაგრამ, უნდა წავიდე. მარტო ჩემზე კი არა, საერთოდ ყველაზე ვლაპარაკობ, ვინც ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშეა. რა ვიცი, ერთი წლის შემდეგ რა იქნება. კარგ პირობებს რომ მთავაზობენ და უკეთეს ჩემპიონატში თამაშის შანსი მაქვს, არ უნდა დავთანხმდე? ეს ჩვეულებრივი ამბავია. ახლა უფრო კონკრეტულად: „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას შევხვდი და ვესაუბრე, ჩვენი სურვილები ერთმანეთისას დაემთხვა, თუმცა, დროებით ეს საუბარი საუბრადვე დარჩა. ლატვიაში ძოძუაშვილს ჩემი წაყვანა რომ სურდა, ეს ნუგზარ ნავაძისგან შევიტყვე. ახლა, საბერძნეთშიც შემომთავაზეს გადასვლა. „ასტონ ვილა“ მართლაც იყო დაინტერესებული, მაგრამ ნაკრებში ჩატარებული თამაშების საჭირო რაოდენობა რომ არ მქონდა, ეს ვარიანტი თავისთავად გამორიცხა. გული კი დამწყდა, მაგრამ იმედია, პრემიერლიგაში თამაშს კიდევ მოვესწრები.

— რამდენჯერმე შევნიშნეთ, რომ შენი პოზიცია დატოვე და ანგარიშმიუცემლად წინ გაიჭერი. სათამაშო დისციპლინას დარღვევად ხომ არ ეკიდები?

— დარღვევაა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, წაგება არ მიყვარს და როცა ვამჩნევ, რომ წინ წასვლაა საჭირო და გუნდელი მაზღვევს, თავდასხმას ვეხმარები. აქ ცუდი არაფერია.

— გუნდში დ ნაკრებში რამდენიმე პოზიციაზე გითამაშია. შენთვის უფრო მისაღები რომელია?

— კაცზეც ვთამაშობ, ლიბეროდაც. საყრდენ ნახევარმცველადაც, მაგრამ გამთამაშებლად, ვფიქრობ, უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია.

მერაბ მამულაშვილი

პელე და არეთა ფრანკლინი „ტოტენჰემში“

ინგლისში მეტისმეტად საინტერესო ამბები ხდება. ამ ქვეყნის პრემიერლიგის ბოლო წლებში გამდიდრებულ კლუბებს სურთ იყიდონ ყველა, ვინც კი ფეხბურთს საშუალოზე უკეთ თამაშობს. ამიტომაც მსოფლიოს საინფორმაციო საagენტოების ყურადღება ალბიონისკენაა მიპყრობილი. კუნძულიდან ყოველდღე ახალ-ახალი ცნობები ედება პლანეტის დანარჩენ ნაწილს, თავად ინგლისელები კი ყიდვა-გაყიდვის ჟინით შეპყრობილან და ენითაუწერელ თანხებს ეთამაშებიან.

მიუხედავად ამისა, ბოლო დღეების ყველაზე გახმაურებული ამბავი გახლავთ ის, თუ როგორ ვერ იყიდა ინგლისურმა კლუბმა სასურველი მოთამაშე. საუბარია ბრაზილიელ ჟუნინიოზე, რომელიც ინგლისურსავე „მიდლსბროში“ თამაშობდა, მაგრამ ვინაიდან ეს გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა, ვარსკვლავმა ქვედა დივიზიონში ასპარეზობა არ ისურვა და კონტრაქტით დარჩენილი ორწლიანი ვალდებულების მიუხედავად თავი გაყიდვინა. როგორც კი ხმა დაირხა, ჟუნინიო იყიდებაო, გამოჩნდა რამდენიმე მუშტარი, რომელთაგან საბოლოოდ „აუქციონს“ ორი შემორჩა — „ტოტენჰემი“ და მადრიდის „ატლეტიკო“. ბოლო კვირამ სწორედ ამ ორი გუნდის ფინანსური დოღით დაამახსოვრა საფეხბურთო სამყაროს თავი. „მიდლსბროს“ რა ენაღვლებოდა, მშვიდად ელოდებოდა ხელსაყრელ ვარიანტს, თანაც ინგლისში „კარგი ბიჭის“ სახელის შენარჩუნებაზეც ზრუნავდა და მალიმალ აცხადებდა, „ტოტენჰემმა“ წერილობით გამოთქვა ჩვენი მოთამაშის შეძენის სურვილი, ესპანელები კი წესსა და რიგს არ იცავენ, ოფიციალურ ფაქსს არ გვიგზავნიან და ამიტომ მათ განცხადებებს სერიოზულად არ ვეპყრობითო. ამასობაში კი ჟუნინიოს მშობელი მამა, თავისი ვაჟის აგენტად რომ მუშაობს, ჯარასავით ტრიალებდა, რათა ფეხბურთელი სწორედ მადრიდის გუნდში გადაეყვანა. მამამ თავისი გაიტანა, „მიდლსბროც“ და „ატლეტიკოც“ კმაყოფილი დასტოვა. ცხადია, გაახარა თავისი შვილიც, რომელმაც განაცხადა:

ჟუნინიო „ატლეტიკოში“ წავიდა

— გული მტკივა, „მიდლსბროს“ რომ ვტოვებ. სადაც გინდა წამიყვანოს ცხოვრებამ, მუდამ ამ გუნდის გულშემატკივრად დავრჩები. ოდესმე სიამოვნებით დავბრუნდები ინგლისში, მაგრამ ახლა „ატლეტიკოში“ გადასვლა ჩემთვის ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო.

სწორი ნაბიჯი ციფრებსა და ფაქტებში ასე გამოიხატა: „ატლეტიკომ“ „მიდლსბროს“ 20,2 მილიონი დოლარი გადაუხადა, რაც დაახლოებით ხუთი მილიონით ნაკლებია ვაჭრობის საწყის ფასზე. იმის გასაგებად, თუ რა მოგება ნახა გამყიდველმა, გავიხსენოთ, რომ 1995 წელს მან ჟუნინიოში 7,6 მილიონი გადაიხადა. ფეხბურთელს, გარდა საარაკო ხელფასისა, მიეცა საშუალება ითამაშოს იმ ქვეყანაში, რომლის ჩემპიონატის მატჩებსაც მის სამშობლოში, ბრაზილიაში, კვირაში ორჯერ გადასცემენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟუნინიო ნაკრების მწვრთნელთა და ბრაზილიელ ჟურნალისტთა მუდმივი ყურადღების სფეროში იქნება, რითაც, ალბათ, საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნულ გუნდში ადგილს დაიბევებს.

მაშ, ყველა კმაყოფილი ყოფილა! დიახ, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ გარდა. ამ კლუბის ქომაგები ჯერ მარტო იმით იყვნენ აღშფოთებულნი, რომ შეფუბმატედი შერინგემი გაუყიდეს. ეს მწარე ლუკმა იმდენად მოუნელებელი აღმოჩნდა, რომ აქტივისტებმა შექმნეს ჯგუფი, რომელიც „სფურზის“ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. კეთილი, შერინგემი გაყიდეს, მაგრამ იქნებ კლუბი მასზე უკეთეს ყიდულობს? ყოველ შემთხვევაში, ჟუნინიო რომ შეეძინათ, გულშემატკივრები ასე თუ ისე დაკმაყოფილდებოდნენ, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ეს ამბავიც ვერ მოგვარდა. რა გამოვიდა, „ჩელსი“ ძოლას და ვიალის ყიდულობს, „ნიუკასლი“ შირერს, „ტოტენჰემი“ კი — ვერავის. მეტიც, ამ ლონდონური გუნდის მხარდამჭერთ გაუჭირდათ ეჭვი, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა ჟუნინიოს გამო ხმაური მათ დასამშვიდებლად ატეხეს, თორემ სინამდვილეში ბრაზილიელის ყიდვას არც ფიქრობდნენ. ერთ-ერთი გულშემატკივრის წერილში ვკითხულობთ, რომ მას არ გაუკვირდება, „ტოტენჰემმა“ პრესაში ახალი აჟიოტაჟი რომ წამოიწყოს: მაგალითად, გამოაცხადოს, რომ 24 მილიონ გირვანქად „სანტოსისგან“ ყიდულობს პელეს, ან ამერიკიდან ჩამოჰყავს არეთა ფრანკლინი. ცნობისთვის: არეთა ფრანკლინი გახლავთ სოფლის მომღერალი ზანგი ქალი, საკმაოდ ასაკოვანი.

გამწარებული ლონდონელები აქ დატოვოთ, ჩვენ კი ისევ ჟუნინიოს დავუბრუნდეთ. მისი სრული სახელია ოსვალდო ჟირალდო ჟუნიორი. სიმაღლით 169 სანტიმეტრია, იწონის 57,2 კილოგრამს. სარბიელზე 1990 წელს გამოჩნდა, როდესაც ბრაზილიურ „იტუანოში“ დაიწყო თამაში. 1993 წელს 400 ათას დოლარად ჟუნინიო „სან პაულუმ“ იყიდა. თუ გახსოვთ, ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასზე, „მილანის“ წინააღმდეგ იგი მოედანზე შემცვლელად შევიდა. 1994-ში აღიარეს ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად. 95-ში შედგა მისი დებიუტი ნაკრებში. იმ დღეს ბრაზილიამ სლოვაკეთს 5:0 მოუგო და ერთი გოლი სწორედ დებიუტანტმა გაიტანა. იმავე წელიწადს გადავიდა „მიდლსბროში“. 1996 წელს თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაო მოიპოვა. წლეულს, მაისის ბოლოს, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ საფრანგეთის ტურნირზე არ წაიყვანა.

ესეც ჟუნინიო. „მიდლსბროშ“ იგი გაყიდა და ფინანსურად იხეირა, მაგრამ მისი შემცვლელი ფეხბურთელიც ხომ სჭირდებოდა? გამოსავალი მარტივად გამოინახა. საკმარისი აღმოჩნდა „არსენალისთვის“ პოლ მერსონზე სიტყვის ჩამოგდება, რომ „მეთოფეთა“ ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა 5 მილიონ გირვანქად, ანუ 8 მილიონ დოლარად, ხელი ხელს დაჰკრა და კაცი, რომელიც თხუთმეტი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ლონდონის ამ უძველეს გუნდს, პერიფერიაში აღმოჩნდა გაყიდული. გარდა ასე იოლად შელევისგან გამოწვეული გულისტკენისა, მერსონმა პირველი დივიზიონის გუნდში გადასვლით ნაკრებში მოხვედრის შანსიც დაჰკარგა, თუმცა ფინანსურად არაფერი წაუგია. თავად განსჯეთ: ხუთი წლის განმავლობაში, წლიურად მილიონი გირვანქის მიღება თვით ინგლისელისთვისაც კი დიდებული რამ გახლავთ. ორშაბათს მერსონი მიდლსბროში ჩავიდა, კონტრაქტს ხელი მოაწერა, კოსტუმში გამოწკეპლმა ქომაგთა თვალსასეიროდ ბურთი აკენწლა და ჟურნალისტებს გაუცუცხადა, ჩემი ახალი გუნდის პრემიერლიგაში დაბრუნება დიდი და საინტერესო ამოცანაო.

„მიდლსბროზე“ საუბარი იტალიელი ფაბრიციო რავანელის ამბებით დავასრულოთ. ჟუნინიოს მსგავსად, პირველ დივიზიონში თამაში არც მას ეჭაშნიკება, მაგრამ ბრაზილიელისგან განსხვავებით სხვა ხერხს მიმართა — გაიბუტა და სამშობლოში წასული გუნდში აღარ ბრუნდება. იტალიელის საქციელით აღშფოთებულმა „მიდლსბროს“ ხელმძღვანელებმა ფეხბურთელს ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს, რაც 54 ათასი გირვანქის ტოლია. კლუბის აღმასრულებელმა შეფმა კით ლემბმა პრესაში განაცხადა, რომ თუ ფაბრიციო სიჯიუტეს არ შეეშვება, მისი ჯარიმა ყოველდღიურად გაიზრდება.

— სულაც არ ვთვლით, რომ რავანელის უნდა ვეთაყვანოთ. ისინი, ვინც მასზე ცუდ გავლენას ახდენენ, ეტყობა, მარსზე ცხოვრობენ, ამიტომაც ყველაფერს აჯობებს, გონს მოეგონ და გზაბნეულს მიდლსბროში დაბრუნება ურჩიონ — თქვა მან.

პრობლემის თავი და თავი კი ისაა, რომ თუმც რავანელის შეძენა „ლივერპულს“, „დორტმუნდს“, „მილანს“ და „ევერტონს“ სურთ, იმ თანხის გადახდა, რომელსაც „მიდლსბრო“ ითხოვს, არცერთს სურს. მათ „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელში 9 მილიონის გაღება წამგებიან ვაჭრობად მიაჩნიათ.

ზემოთ ლივერპულის გუნდები, „ლივერპული“ და „ევერტონი“ ვახსენეთ. „ლივერპულის“ მწვრთნელმა როი ევანსმა განაცხადა, რომ ახალ ფეხბურთელთა რამდენმეთვიანი ძებნა ორი საინტერესო შენაძენით საქმედ აქცია. ერთი შენაძენი ცნობილია, ძალიანაც, მეორე კი უცნობი. პირველია ინგლისელი ზანგი, ბოლო წლებში მილანის „ინტერში“ თამაშით სახელგანთქმული პოლ ინსი, რომელიც ალბიონელებს იტალიდან 4 მილიონად მიჰყავთ, მეორე კი 19 წლის, ვინმე დენი მერფი, „ქრუს“ მოთამაშე. ეს ბიჭი, მერფი, რამდენიმე გუნდს მოსწონებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ვაჭრობაში „ლივერპული“ ყველას აჯობებს. ევანსის ვარაუდით, ჭაბუკი მას ორ მილიონამდე დაუჯდება.

ქალაქის მეორე ბოლოში კი თავის გეგმებს აწყობს „ევერტონის“ ახალი თავკაცი ჰოვარდ კენდალი, რომელმაც ენითაუწერელი თავხედობა ჩაიდინა. მან „ნიუკასლში“ დარეკა და უთხრა, ლეს ფერდინანდი მომყიდეთო, რის პასუხადაც იქაური მეორე მწვრთნელისგან, ტერი მაკდერმოტისგან ისმინა, დროს ტყუილად ნუ ხარჯავო. კენდალს ფერდინანდი თავისი შოტლანდიელი თავდამსხმელის დანკან ფერგიუსონის მეწყვილედ უნდოდა. რაც შეეხება ფერგიუსონს, მისი „ევერტონთან“ კონტრაქტიდან თვრამეტი თვეა დარჩენილი. ფეხბურთელი კლუბის ხელმძღვანელებთან მისულა და უთხოვია, ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გამიგრძელეთო. ხელმძღვანელები დაყაბულებულან, მაგრამ კენდალის ბოლო სიტყვას დალოდებიან. კენდალმა უარი არ თქვა, პირიქით — მხარი დაუჭირა ფეხბურთელს.

განელ ტონი იებოას სხვა პრობლემები აქვს. მან არ იცის, რა ბედი ელის „ლიდს იუნაიტედში“ და ამის გასარკვევად მწვრთნელთან, ჯორჯ გრემთან სერიოზულ საუბარს აპირებს. 31 წლის თავდამსხმელმა გუნდის ვარჯიშები უკვე გამოტოვა და იმუქრება, თუ კონკრეტულს არაფერს მეტყვიან, ფეხბურთს სულ შეევშვები და სამშობლოში დაბრუნდებიო. ამასთან დაკავშირებით „ლიდსის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც თავისი გვარის დასახელებას მოერიდა, თქვა:

— ტონი ძალიან აღელვებულია. მას ეკონა, მსოფლიო დონის ვარსკვლავის შესაფერის როლს ითამაშებდა, მაგრამ მერწმუნეთ, სანამ მწვრთნელი გრემია, იებოა ვერ გაიხარებს. არადა გასაგებია, რომ ფეხბურთელს მომავალ სეზონშიც სკამზე ჯდომა არაფრად ეპიტნავება. თანაც, აღარავინაა დაინტერესებული მისი ყიდვით.

კლუბის ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით კი ცნობილია, რომ „ლიდსი“ სიამოვნებით გაასხვისებდა ერთ ან ორ ფეხბურთელს. თუ ვის, ამაზე არაფერი თქმულა.

სხვა ინგლისური გუნდები ასე ვაჭრობენ: „ბლეკბერნმა“ ნახევარ მილიონ გირვანქად შვედური „მალმოისგან“ შეიძინა ანდერს ანდერსონი. აქვე ითამაშებს ცნობილი შვედი ზანგი, „ბლეკბერნის“ ახალი მწვრთნელის როი ჰოჯსონის ოდინდელი მოსწავლე მარტინ დალინი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ინგლისში გადაბარგება. შეგახსენებთ, რომ დალინი თუმცა „მიონხენგლადბახში“ თამაშობდა, ეკუთვნოდა „რომას“, ამიტომაც ჰოჯსონის კლუბი 2,5 მილიონ გირვანქას სწორედ იტალიელებს გადაუხდის. „ჩელსიმ“ მოიალაპარაკა ნორვეგიელ „ბრანთან“ და მიუხედავად იმისა, რომ ძველი კონტრაქტი ოქტომბრამდე ძალაშია, მისგან ტორე ანდრე ფლოს ყიდულობს. ფლო, მოგეხსენებათ თავისი ქვეყნის ნაკრების წევრია. „ქოვენთრი სიტი“ სტოკჰოლმის აიკს 500 ათას გირვანქად გაურიგდა და შვედეთის ნაკრების მეკარეს მაგნუს ჰედმანს ყიდულობს. სამხრეთაფრიკელი მოთამაშე ანდრე არენდსე მეორე დივიზიონის „ფულეჰში“ მიდის. აქამდე იგი „ქეიფთაუნ სპურზში“ გამოდიოდა. ცნობილი ფეხბურთელი, ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი კრის უოდლი კი იმავე ლიგაში „ბარნლის“ მოთამაშე მწვრთნელი ხდება.

პაპუნა კედია

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგი მცველი ბიქსენტ ლისარასუ რონალდოს დღეშია: მანაც გამოისყიდა საკუთარი თავი ძველი კლუბისგან, ბილბაოს „ატლეტიკისგან“ და მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. დღეს ლისარასუ მიუნხენში ვარჯიშობს, მაგრამ ამ გუნდში საბოლოოდ გადასული არ არის. რონალდოს და ლისარასუს საქმეებს ფიფას ფეხბურთელთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისია ერთად განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ფიფას წესებით მოთამაშეს სხვა ქვეყანაში წასვლის მიზნით თავის გამოსყიდვა არ შეუძლია, ევროკომისია კი ამას მშრომელთა უფლების დარღვევად მიიჩნევს.

ბრაზილიელი თავდამსხმელი, საფრანგეთის ჩემპიონის „მონაკოს“ წევრი სონი ანდერსონი, ამბობენ, „ბარსელონაში“ გადავა და თანამემამულის, რონალდოს ადგილს დაიკავებსო. „ძალიან მომწონს, რომ „ბარსელონას“ ვუნდივარ, ვიცი ყველაფერი, რასაც წერენ და ამბობენ ამის თაობაზე. ვიცი თუ რა თანხებზეა საუბარი, მაგრამ პირადად ჯერ არავინ დამკავშირებია“ — თქვა ანდერსონმა. ფრანგული პრესის თქმით, ანდერსონთან მუშაობით „ბარსას“ ახალი მწვრთნელი, ლუის ვან გაალი, ჯერ კიდევ „აიაქსში“ მუშაობის დღეებიდან არის დაინტერესებული. ამბობენ, რომ ესპანური კლუბი 26 წლის ფეხბურთელში 22,5 მილიონ დოლარის გადახდას აპირებს.

ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ინლისური „ლიდსის“ მცველი რობერტ მოლენაარი თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ძველ კლუბს „ეოლენდამს“ უჩივის. საქმე ის გახლავთ, რომ „ლიდსში“ გადასვლის დროს მიღწეული შეთანხმების თანახმად, „ეოლენდამს“ მცველისთვის 406 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა, რაც მის სატრანსფერო თანხაში შედიოდა. ჰოლანდიური კლუბი ახლა ასეთი შეთანხმების არსებობას უარჰყოფს. სასამართლო ივლისის მეორე ნახევარში გაიმართება.

გერმანელი თავდამსხმელი ბერნდ ჰობში, რომელიც აქამდე ბრემენის „ვერდერში“ გამოდიოდა, ამიერიდან ფრანგულ „რენში“ ითამაშებს.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი კრისტიან კარემბუ, როგორც ჩანს, იტალიურ „სამპდორიას“ დატოვებს და მადრიდის „რეალში“ გადავა. კარემბუს აგენტის მილან კლასანის თქმით, ორ კლუბს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და თუმც აზრთა სხვაობა შესამჩნევია, მათი გადალახვის გზებიც მრავლადაა. ფეხბურთელს იტალიური კონტრაქტის ვადა მომავალი სეზონის ბოლოს გაუდის, მაგრამ იქ თავს კარგად ვერ გრძნობს და წასვლას ეშურება. ერთიხანობა კარემბუს შეძენით „რეალთან“ ერთად „ბარსელონაც“ იყო დაინტერესებული, თუმცა თავად მოთამაშემ ყველა ღონე იხმარა მადრიდში გადასასვლელად.

ინგლისურმა „არსენალმა“ შესაძლოა თავის ოდინდელ „ჰაიბრის“ სტადიონს თავი დაანებოს და სხვა სარბიელი ეძებოს. მიზეზი ისაა, რომ „არსენალს“ გასულ სეზონში ბილეთები კარგად ეყიდებოდა, მომავალში უკეთესი დასწრებაა მოსალოდნელი, რის გამოც კლუბმა 38 500-იან სტადიონზე ტრიბუნის ტევადობის გაზრდა ისურვა. ამ პროექტს წინ აღუდგა ისტორიული ნაგებობების დაცვის ორგანიზაცია, რომელიც შესაბამის საბუთზე ხელს არ აწერს. აღმოჩნდა, რომ 1936 წელს აგებული „ჰაიბრის“ შესასვლელში, გასახდელებსა თუ დარბაზში დღემდე ძველი ავეჯი დგას და იქ იმ დროიდან მოყოლებული არაფერი გადაუკეთებიათ. ახლა ბრიტანეთის სპორტის მინისტრი ტონი ბენჭსი დილემის წინაშეა.

ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრების ექვსი ფეხბურთელი ესპანეთში პოლიტიკურ თავშესაფერს ითხოვს და ამ ქვეყნის კლუბებს ევედრება სამუშაოს. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელები ესპანეთში აპრილში დარჩნენ, როდესაც უეფამ ალბანური სამოქალაქო ომის გამო ალბანეთ-გერმანიის თამაში ესპანეთში დანიშნა. ამ ექვსეულიდან ჯერჯერობით გუნდი იშოვნა მხოლოდ ერთმა, ერვინ ფაყაიმ. იგი მეორე დივიზიონის „ტოკ�“ აიცილა. ფიფას ესპანეთის ფედერაციას ევალება, ბრბილებს, რომლებიც ლტოლვილის სტატუსს ელოდებიან, „ეუბნოთან“ კონტრაქტების გაფორმებაში ხელი არ შეუშალოს ალბანამდე ისინი ესპანურს სწავლობენ და ვარჯიშობენ.

ბელგიური „მუსკრონი“, უეფას გადაწყვეტილებით, უეფას თასის საშინაო თამაშებს ჯერჯერობით მეზობელ საფრანგეთში, საზღვრისპირა ქალაქ ვილნევ დასკში ჩაატარებს. მიზეზი ისაა, რომ „მუსკრონის“ სტადიონი საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.

ხორვატი რობერტ პროსინეჩკი საზღვარგარეთ გატარებული ათი წლის შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა. იგი კვლავ ზაგრებშია, ყოფილ „დინამოში“, რომელსაც ახლა „კროაცია“ ჰქვია. ბოლოს პროსინეჩკი „სევილიაში“ თამაშობდა, მანამდე „რეალში“, „ოვიედოსა“ და „ბარსელონაში“. ვარსკვლავს „მაკსიმირის“ სტადიონზე ორი ათასამდე ქომაგი შეეგება.

ავსტრიელი გოლკიპერი, 35 წლის მიხაელ კონსელი 729 ათას დოლარად, ორი წლით, ვენის „რაპიდიდან“ „რომაში“ გადადის. ყველაფერი მოგვარებულია, კონტრაქტს მიხაელი ვენაში მოაწერს ხელს და რომში ფაქსით გააგზავნის. კონსელი, რომელშიც „რაპიდს“ ცოტა მეტი ფულის მიღება სურდა, ახალ გუნდს კვირას შეუერთდება.

არგენტინის ნაკრების ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა მადრიდის „რეალში“ გადავა, თუ „ბარსელონა“ მის „ფიორენტინას“ მეტს არ შესთავაზებს. „ფიორენტინას“ არგენტინელში 23,8 მილიონი დოლარის მიღება სურს, „ბარსელონამ“ კი 18,4 მილიონი შესთავაზა. თავად გაბრიელის თქმით, იგი დღეს, ხუთშაბათსაც მოიცდის, ნახავს, გააუჯობესებს თუ არა „ბარსა“ პირობებს. კატალონიელთა კლუბის პრეზიდენტის ხოსე ლუის ნუნიესის თქმით, „ბარსელონა“ პარალელურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ბატისტუტასა და მონაკოელ სონი ანდერსონთან.

შოტლანდიურმა „ჰართსმა“ ორი წლით შეიძინა ავსტრიელი მოთამაშე, „აუსტრიას“ ყოფილი ნახევარმცველი თოშას ფლოგელი.

პორტუგალიაში შესაძლოა არეკორდო ტრანსფერი შედგეს: ლისაბონის „ბენფიკა“ 10 მილიონ დოლარად აპირებს ბრაზილიური „გრემიოს“ 26 წლის ფეხბურთელის პაულუ ნუნიეშის ყიდვას. ნუნიეში ამ დღეებში ჩავა პორტუგალიაში სამედიცინო შემოწმების გასავლელად და ოთხწლიან კონტრაქტზე ხელის მოსაწერად.

პანამელი ვეტერანი თავდამსხმელი, 30 წლის ხულიო სეზარ დელი ვალდესი შესაძლოა ესპანურ „ოვიედში“ გადავიდეს. ამბობენ რომ იქვე დაიწყებს მწვრთნელად მუშაობას ურუგვაელი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი, რომელიც გასული სეზონის პირველ ნახევარში „მილანს“ ედგა სათავეში. ამრიგად, შესაძლოა, დელი ვალდესმა და ტაბარესმა კვლავ ერთად იმუშაონ. ორი წლის წინ ისინი იტალიურ „კალიარიში“ თანამშრომლობდნენ.

რუსეთი

მე-17 ტური. სპარტაკი — როტორი 3:2, ცსკა — ფაკელი 1:0, ბალტიკა — როსტსელმაში 0:0, კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი 1:0, ზენიტი — ნოვგოროდი 1:0, ტორპედო — ყემეუეტინა 3:1, ჩერნომორეცი — ალანია 1:2, კამაზი — დინამო 1:3, შინიკი — ტიუმენი 1:0

სპარტაკი	17	10	4	3	27:12	34
დინამო	17	10	4	3	21:9	34
როტორი	17	9	4	4	30:17	31
ტორპედო	17	9	3	5	29:20	30
ალანია	17	8	2	7	28:18	26
ლოკომოტივი	17	6	7	4	21:17	25
ჩერნომორეცი	17	6	7	4	19:16	25
როსტსელმაში	17	5	9	3	15:12	24
ყემეუეტინა	17	6	5	6	13:16	23
კრილია	17	6	4	7	9:14	22
ზენიტი	17	5	7	5	10:14	22
ბალტიკა	17	4	10	3	16:13	22
ცსკა	17	5	4	8	14:21	19
შინიკი	17	4	7	6	14:23	19
ნ.ნოვგოროდი	17	5	3	9	12:19	18
კამაზი	17	5	1	11	17:35	16
ტიუმენი	17	4	4	9	13:20	16
ფაკელი	17	3	1	13	9:22	10

ვიდრე ჰოლიფილდი გოგოლაძეს დაპატიჟებდეს

ნუ გააბრაზებ ზანგ მეძავს

მას შემდეგ, რაც გიორგი კანდელაკმა კრივი მიატოვა, რამაზ ფალიანმა და პაატა გვასალიამ კი უცხოეთს მიაშურეს, აღარ კამათობენ იმაზე, თუ ვინ არის საქართველოს საუკეთესო მოკრივე, რადგან ამ კითხვაზე პასუხი ნათელია: კობა გოგოლაძე. ფოთელმა მოკრივემ ახლახან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს ქადილისა და უსაფუძვლოდ არ უწოდებენ საუკეთესოს — ლივერპულის საერთაშორისო ტურნირზე 4 ბრძოლა მოიგო და ჩემპიონიც გახდა. რაც მთავარია, ამ გამარჯვებით კობა გოგოლაძემ საგაისოდ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ლიცენზია მოიპოვა.

ჯონ ლენონი და კობა გოგოლაძე

— კობა, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ მხოლოდ ერთ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზე და იქაც, ჩეხეთში, თავი ვერ ისახელე. მართალი გითხრა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ლიცენზიის მოპოვებას კი ველოდით შენგან, მაგრამ კობა აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო, ვერავინ იჩემებდა. მით უმეტეს, შენს მეტოქეებთან — უცხოელ მოკრივეებთან შედარებით არასახარბიელო პირობებში ემზადებოდი. მოკლედ, გაგვაყვირე.

— უცხოელთა დარად როგორ მოვემზადებოდი, მაგრამ თავი არ დამიზოგავს. ჯერ ფოთში ვვარჯიშობდი, შემდეგ — თბილისში, ბოლოს ქუთაისში გავიარე შეკრება ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, იმ დონეს მივაღწიე, ლივერპულის ტურნირის მოსაგებად საკმარისი რომ აღმოჩნდა.

— ვიცით, 4 შეხვედრა მოიგე. ვის აჯობე?

— პირველ წრეში შვედ ვიკეალოს ვძლიე, შემდეგ ჩეხ შახბაზიანსა და უკრაინელ კოლესნიკოვს, ფინლში კი გაესტონელებული რუსი სტარიკოვი ვცემე.

— მანამდე ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირზეც შეგეძლო ლიცენზიის მოპოვება, მაგრამ იქიდან ხელცარიელი დაბრუნდი...

— ჩეხეთში კარგად დავიწყე, პირველ შეხვედრაში ბელარუს მოკრივესაც ვძლიე, მაგრამ მეორე ორთაბრძოლა დავთმე შარშანდელი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორთან, „ებერ არნოლთან“. მისგან სხვათა შორის, ამ ტურნირზე, ფინალში, შესა შახბაზიანმა სცემა, ამ უკანასკნელს კი მე მოვუგე ლივერპულში.

— ყველა უძლიერესი ევროპელი მოკრივე ასპარეზობდა ინგლისში?

— არა, ჩემი წონიდან ორმა ძლიერმა მოკრივემ არ იბრძოლა, ბულგარელმა ტონჩო ტონჩევმა და რუმინელმა ლეონარდო დოროფტეიმ. მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ ლიცენზიები.

— ტონჩევისა და დოროფტეის ლივერპულში არყოფნა ხომ არ აკნინებს შენს გამარჯვებას?

— ცხადია, მათმა არყოფნამ გამიიოლა გამარჯვება. ორივეს რომ ეასპარეზა, უთუოდ გავიმარჯვებდი-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ პრიზიორი მაინც გავხდებოდი და ლიცენზიაც მერგებოდა.

— შენ დოროფტეისთან ძველი ანგარიშებიც გაქვს გასასწორებელი...

— დოროფტეიმ შარშან ოლიმპიადაზე მაჯობა. არც მანამდე, არც მას შემდეგ არ შეეხვედრივარ. ეს მარცხი დღესაც გულს ხინჯად მაჩნევია. ერთი სული მაქვს, ჩვეულ ფორმაში შევიდე და მას შევხვდე. სხვათა შორის, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე გულდასაწყვეტი მარცხი იყო.

— კობა, რამდენადაც ვიცი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ლიცენზიები ეთვლება არა მოკრივეს, არამედ წონით კატეგორიას. შენ 60 კილოგრამში კი მოიპოვე ლიცენზია, მაგრამ არ გზღუდავენ და შეგიძლია, 3 კილო დაიკლო ან მოიმატო და 57 ან 63 კილოშიც სცადო ბედი. ამით კიდევ ერთ ლიცენზიას მოუტან საქართველოს, რასაყვირველია, თუ წარმატებით აისპარეზე. ამაზე არ გიფიქრია?

— კი, მიფიქრია, მაგრამ სხვაგვარად გადავწყვიტე. არ არის საჭირო, კაცმა სხვისი საქმე აკეთოს, ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს, თანაც, ჩვენს მოკრივეებს არაფერი სჭირთ საიმისო, გოგოლაძემ ტურნირებიდან ლიცენზიები ჩამოუტანოს.

— ინგლისში მარტო შენ იყავი, სხვა ჩვენებურმა მოკრივეებმაც რატომ არ სცადეს ბედი, იჭნებ მათაც რგებოდათ ლიცენზიები?

— ისევ ძველმა და მარადიულმა პრობლემამ — უფულობამ იჩინა თავი. დიდი მადლობა კრივის ფედერაციასა და სპორტის დეპარტამენტის თავკაცებს, რომ სამ კაცს მაინც მოგვიხერხეს ინგლისში გამგზავრება — მე, ნაკრების მწვრთნელს ზურაბ გუნიას და მსაჯს — დათო ქავთარაძეს.

— შენი მეგობრებისგან ვიცი, რომ მუსიკის მოყვარულია ხარ. ალბათ, „ბითლების“ ქალაქში დროს გამოძებნიდი და მათ მუზეუმსაც მოინახულებდი.

— დიახ, ჯონ ლენონის მუზეუმში მის ძეგლთან სურათი გადავიღე, რამდენჯერმე იმ ბარში ვიყავი, სადაც ლეგენდარულმა ოთხეულმა კარიერა დაიწყო — კაპიკებზე უკრავდნენ და ლივერპულელ ახალგაზრდებს არობდნენ მაშინ ჯერ კიდევ უცნობი გენიოსები. იმ პრიმიტიულ ინსტრუმენტებს, რითაც მათ მოღვაწეობა დაიწყეს, დღესაც სათუთად ინახავენ.

— კობა, მოდი, კრივს დავუბრუნდეთ. ძველი, 3-3 წუთიანი სამი რაუნდი კრივის საერთაშორისო ფედერაციამ ახლით შეცვალა — 2-2 წუთიანი 5 რაუნდით. ამან, ალბათ, პრობლემები შეგიქმნათ მოკრივეებს. თუ შეეგუე ახლებურ წესებს?

— ყველა სიახლესთან შეგუება ჭირს, მაგრამ მე მაინცდამაინც არ გამძნელებია. ინგლისში ახლებური წესებით გავიმარჯვე. იქ მეორედ ვიჩხუბე ამ წესებით.

— მაინც რომელი სჯობს — ძველი თუ ახალი?

— ჩემთვის ახალი უკეთესია. ყველასთვის, ალბათ, ასე სჯობს, რადგან მრავალრაუნდიან ბრძოლაში გამობრძმედილი მოკრივე უკეთ ეგუება პროფესიულ კრივს. ყველა მოკრივის ოცნებაც ხომ პროფესიულ კრივში მონაწილეობაა.

— ალბათ, შენიც.

— დღედაღამ მაგაზე ვოცნებობ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ხეირიან წინადადებაზე დავთანხმდებოდი.

— არ გქონია საამისო შანსი?

— ატლანტაში იყო ზოგადი საუბარი. ჩიკაგოს კლუბის მენეჯერი, გაამერიკებული რუს-ებრაელი გვთავაზობდა მე და აკაკი კაკაურიძეს თავის კლუბში გადასვლას, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მისულა და ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. ისე, როგორც ვიცი, კაკაურიძეს ჩაკაგოში წასვლის სურვილი გულიდან არ ამოუღია.

— კაცი რომ პროფესიონალებში გადავა, იმას ვინ გაამტყუნებს, მაგრამ რას იტყოდ უცხოეთში წასულ ჩვენებურ მოყვარულებზე?

— ბიჭებს აქ უჭირდათ და წავიდნენ, კრივისთვის მათ დიდი-დიდი 10 წელი ჰქონდათ, ეს დრო ისე უნდა გამოიყენონ, რომ სადღეისო გამარჯვებები არ მოიკლო და საკუთარი მომავალიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყო. აქ ამის საშუალება არ ჰქონდათ. ფალიანმა აკი დაამტკიცა, რომ ნორმალურ პირობებში თუ მოემზადა, ტოლს არავის დაუდებს — რამაზმა წელს დანიის ევროპის ჩემპიონატი მეტად დამაჯერებლად მოიგო.

— რამაზთან და პაატასთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— სამწუხაროდ, არც ისე ხშირი. პაატა ატლანტის შემდეგ არ მინახავს. რამაზიც საბერძნეთში გავაცილეთ და ეგ იყო და ეგ. ადრე ტურნირებზე ვხვდებოდით ერთმანეთს.

— შენ არ ფიქრობ, ვთქვათ, რამაზს მიბაძო, უცხოეთში წახვიდე და ბოლომდე გაიხარჯო — მტერს და მოყვარეს აჩვენო, რა შეუძლია კობა გოგოლაძეს?

— უცხოეთში წასვლაზე სერიოზულად არ მიფიქრია, ჯერჯერობით, რომ იტყვიან, იოლად გავდივარ.

— რომ მიგიწვიონ, საით გაგიწევს გული?

— ალბათ, გერმანიის ან ინგლისისკენ, ეს ქვეყნები მეტად მომწონს და იქ კრივიც რიგიანი იციან.

— კობა, დღეს მსოფლიოს კრივის სამყარო ჰოლიფილდ-ტაისონის ბრძოლასა და ტაისონის უღირს საქციელზე ლაპარაკობს...

— ტაისონი ჩემი კერპია, მასთან ერთად მუჰამედ ალის, როკი მარჩიანოსა და რეი შუგარ ლეონარდს ვაღმერთებ. ტაისონი ნამდვილად ცუდად მოიქცა, მაგრამ იქნებ ჯერ მართლაც ჰოლიფილდმა ამოარტყა განზრახ თავი ქვემოდან, წარბი გაუხეთქა და ვაახელა. რატომ არ უნდა დავუჯეროთ, რასაც ამბობს? მაინც ვერავინ დამაჯერებს, რომ ჰოლიფილდი ტაისონზე ძლიერი მოკრივეა. კრივში მოულოდნელი არაფერია. ყველაფერი ხდება, უარესიც გამგია...

სხვათა შორის, ატლანტაში, ოლიმპიადის დღეებში ჰოლიფილდის დარბაზში ვვარჯიშობდით. პირდაპირ ასე ერქვა — „ჰოლიფილდ-არენა“. იგი ხომ ატლანტელია. რომ იტყვიან, სამოთხეა. მისწრებაა მოკრივისთვის იქ ვარჯიში.

— ამერიკული პირობები რომ გქონდეს, რას იზამდი?

— რაც ვარ, ერთი თავით იმაზე უკეთესი ძოკრივე ვიჭიებოდი. ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის და ოლიმპიადის ოქროს მედალიც უფრო ხელმისაწვდომი გახდებოდა ჩემთვის.

— მოდი, ვიდრე ჰოლიფილდი თავის დარბაზში მიგიწვევს სავარჯიშოდ, შინაურ საქმეებს მივხედოთ. საგაისოდ კი მოიპოვე ლიცენზია, მაგრამ წელსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი შეჯიბრება გელის. რას აპირებ?

— ოქტომბერში ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატია, შემდეგ ისრაელი უმასპინძლებს ევროპის თასის გათამაშებას. ვნახოთ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ალბათ, გამოვალ ამ შეჯიბრებებზე. იქ საასპარეზოდ ლიცენზიები არ მჭირდება, მთავარია, ფული და სურვილი გქონდეს. ახლა მე და ბესიკ ვარძელაშვილი ფოთში მივდივართ სავარჯიშოდ.

— არის ფოთში ასეთი სერიოზული ტურნირებისთვის მომზადების საშუალება?

— ფოთში ორი დარბაზია, ჩემი მეგობრის, ცხონებულ ზურაბ სარსანიას სახელობისა და მეორეც — „ლიდორი“. მას ფოთში კრივის ამღორძინებლის ლიდორ თავაძის სახელი ეწოდა. ზღვა და პლაჟი იქვეა. დანარჩენი კი ჩვენს მონდომებაზეა.

— კობა, მოდი, ჩვენი საუბარი რაიმე მხიარული ამბის გახსენებით დავასრულოთ. სპორტსმენები განუწყვეტლივ მოგზაურობთ და უამრავი კურიოზის მოწმენი ხდებით.

— ერთი სასაცილო ამბავი გამახსენდა. 1995 წელს ფრანკფურტში ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონატზე. მე და ჩემი თანაგუნდელი მამუკა ხუტუაშვილი ქალაქს ვათვალიერებდით. საროსკიპოსთან მოვხვედით. დავიწყეთ შიშველი მეძავების თვალიერება. მოულოდნელად დაახლოებით 150 კილოიანი ზანგი მეძავი შევნიშნე, ვიტრინის შიგნიდან ხელს გვიქნევდა, მოდითო. მამუკას გადაეულაპარაკე ეს ჩემი წონა არ არის, გიორგი კანდელაკის წონაა, წამოდი, ის მოვუყვანოთ-მეთქი. ორივეს სოცილი აგვიტყდა. დამცინიანო, იფიქრა ამ ზანგის ქალმა და გამოენთო გაავებული. სულ „შვაინ, შვაინ“, — გვეძახა და კარგა ხანს გვდია შიშველ-ტიტველმა ქუჩაში. კიდევ კარგი, ვერ დაგვეწია, თორემ ბდღვნად არ ვეყოფოდით.

ლევან ჯავახიშვილი

ჯგუფი ძლიერია, მაგრამ...

ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრები იტალიის, თურქეთის, ლატვიის, ჩეხეთისა და შვედეთის გუნდებთან მოხვდა. ამის თაობაზე ჩვენი ნაკრების მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანის კომენტარი გვსურდა, მაგრამ იგი პირადი საქმეების გამო გერმანიაში წასულა. კალათბურთის ფედერაციაში მისულებს კი მხოლოდ გენერალური მდივანი აკაკი მეგრელაძე დგვიხვდა, რომელმაც თავის აზრი მოგვახსენა ჩვენს ჯგუფზე:

— ჯგუფი საკმაოდ სერიოზულია, ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. თუმცა, არც იმის საფუძველი გვაქვს, რომ წინასწარ ხელები ჩამოვყაროთ და მარცხს შევეგუოთ.

იტალია ჯგუფის ფავორიტია — აქ ორი აზრი არ არსებობს. ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ვნახეთ მათი თამაში, თუმცა, ჩემი აზრით, ამ გუნდისთვის მეორე ადგილი ნამეტანი იყო.

თურქეთი ძალიმერ კალათბურთის თამაშობს. ამ ქვეყნის კლუბებთან თამაშებმა დაგვარწმუნა, რომ მათ მოედანზე თამაში ძალზე ძნელია, მოგება კი — პრაქტიკულად შეუძლებელი, თუმცა, ჩვენი კალათბურთელების მზარდი ოსტატობის შემყურეებმა, რატომ არ უნდა ვიფიქროთ შინ გამარჯვებაზე?

ლატვიაც, იტალიისა და თურქეთის მსგავსად, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეა, რაც, თავისთავად, ბევრს ნიშნავს. მართალი გითხრათ, მისი თამაშის ნახვისას, განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. ამდენად, მათთან გამარჯვებად რეალურად მიმაჩნია.

ჩეხებს კარგად ვიცნობთ, სულ ახლახან კვიპროსში ვეთამაშეთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. იმ თამაშში არ გვყავდა სტეფანია, გუნდმაც არეულად დაიწყო შეხვედრა და ტაიმი 22 ქულით წავაგეთ. მეორე ტაიმში სხვაობა გავაბათილეთ და სამი ქულით წინაც გავედით. თუმცა საბოლოოდ დავმარცხდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩეხეთი დაახლოებით ჩვენი დონის გუნდია, შესაძლოა, ოდნავი უპირატესობა ჩვენც გვქონდეს, რადგან მათთან შეხვედრა შესუსტებული შემადგენლობით, ულიდეროდ ჩავატარეთ.

შვედეთსაც მეტ-ნაკლებად ვიცნობთ. სამი წლის წინ ახალგაზრდული ნაკრებების დონეზე შეეხვედით და 31 ქულით მოუგეთ. ჩემი ინფორმაციით, შვედეთის ერთვნული გუნდში მაშინდელი ახალგაზრდები არიან, ხოლო ქართველთაგან იმდროინდელ გუნდში სტეფანია, ბერძენიშვილი, ნაცვლიშვილი თამაშობდნენ. ჩემი აზრით, შვედებთან აქაც და იქაც მოგებაზე უნდა ვითამაშოთ.

გავიმეორებ, რომ ჯგუფი საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, არსებობს კი საერთოდ სუსტი ჯგუფი? ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლა უბრძოლველად არ ხდება. ჩვენი გუნდი, მართალია, ახალგაზრდულია, მაგრამ წინა შესარჩევ ტურნირში საკმაო გამოცდილება მაქვს. ბოლო თამაშებში პროგრესი აშკარად იგრძნობა. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებს, ვიდრე წინა ციკლში, ხოლო თუკი ოდნავ მეტი ხელშეწყობა და პირობები გვექნა, ფინალში გასვლაზეც შეიძლება ფიქრი.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის რეზო ჩხეიძის კომენტარი:

— პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ წინა ციკლის ჯგუფზე ძლიერია შემადგენლობით. მაშინ ორი გამოკვეთილი ფავორიტი იყო საბერძნეთის და ისრაელის სახით, ბელარუსმა უძლიერესი შემადგენლობა ვერ შეკრიბა. ახლა იტალიელთა ძალა თვით იხილეთ — ევროპის ვიცეჩემპიონები გახდნენ. თურქეთში ძლიერი ლიგაა, მასში ბევრი უცხოელი თამაშობს და ისიც ანგარიშგასაწევი იქნება, განსაკუთრებით, როცა შინ ითამაშებს. ისე, ევროპის ჩემპიონატის მატჩებიდან მათზე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, გრანდებისგან საკმაოდ შორს დგანან. ლატვიაც საკალათბურთო ქვეყანაა ტრადიციულად, თუმცა, ახლა ძალზე ძლიერიაო, ვერ ვიტყვით. ჩეხეთის გუნდს საკვალიფიკაციო ტურნირში შევხვდით. სიმაღლით და ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან. ჩვენ მათ უსტეფანიოდ ვეთამაშეთ და მეორე ნახევარში თანაბარი ბრძოლა იყო. ასე რომ, მათთანაც შესაძლებელია თამაში.

გასათვალისწინებელია, რომ წინა ციკლში ჩვენ გამოუცდელი გუნდი გვყავდა. ვთქვათ, სლოვაკეთთან პირველი გასვლითი მატჩი რომ არ ყოფილიყო, არაფრისდიდებით არ წაგაგებდით. ისრაელთან თბილისში მარცხიც გამოუცდელობის შედეგია. ახლა ბევრი ჩვენი მოთამაშე აპირებს წასვლას საზღვარგარეთ. იქ გაცილებით უკეთესი პირობები ექნებათ და თუ შესარჩევი ტურნირის მატჩებისთვის უძლიერესმა შემადგენლობამ მოვიყარეთ თავი, არც ერთი მეტოქე არ გვაშინებს. წინა ციკლში ყველაფერი აღრეევ გაირკვა და ჩვენ მაინც არ დავვიყრია ფარხმალი. ახლა კი, ჩემი აზრით, ყველაფერი ბოლო ტურებში გაირკვევა და ამიტომ ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ ფინალურ ეტაპზე მოვხვედეთ. ამისათვის მარტო თბილისში გამარჯვებები არ იქნება საკმარისი, მეტოქის მოედანზეც უნდა ვიმარჯვოთ, ამისათვის უკვე საკმაო გამოცდილებაც გვაქვს. მოკლედ, ჩვენი ნაკრები ბევრად ძლიერია, ვიდრე წინა შესარჩევი მატჩებისას და თუ სათანადო ხელშეწყობა იქნება, გაცილებით უკეთეს შედეგს უნდა ველოდეთ.

რაც შეეხება ჩემს საზღვარგარეთ წასვლას, ჯერჯერობით გარკვეული არაფერია, მაგრამ არის წინადადებები და როგორც კი გაირკვევა რაიმე კონკრეტული, შეგატყობინებთ.

მერაბ რატიშვილი
ილია მხეიძე

მარჩულიონისი გააპანღურეს

„დენვერ ნაგითსმ“ 1997 წლის დრაფტში სამი ახალი მოთამაშე აიყვანა და, ცხადია, მათ ხელფასები უნდა დაუნიშნოს. ნბა-ში კი წესია, რომ კლუბის მოთამაშეებზე გასაცემი ხელფასების ჯამური რაოდენობა გარკვეულ ზღვარს არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომაც „დენვერი“ იძულებული გახდა, ექვს მოთამაშეს შელეოდა, რათა ახალბედებისთვის მათი ხელფასი გადაენწილებინა.

ამ შემცირებაში მოვიდა ლატველი შარუნას მარჩულიონისიც. კლუბმა მას ვინსენტ ესკიუ ჯერომ ალენი, ჯიმი კინგი, ჭის ჯენინგსი და კენი სმიტიც მიაყოლეს. ამ ხალხის გაშვებამ „დენვერს“ წლიური 4,8 მილიონი დოლარი გაუთავისუფლა. აქედან მარჩულიონისი 2,5 მილიონს იღებდა.

„დენვერმა“ კონტრაქტი გაუფორმა ცენტრ ტონი ბეტის, ფორვარდ დენი ფორსტონს და უკანასკნელ ბობი ჯეკსონს.

33 წლის მარჩულიონისს 8 სეზონი აქვს გატარებული ნბა-ში. წინა სეზონში, მუხლის ტრავმის გამო, მხოლოდ 17 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 6,8 ქულა დააგროვა. ახლა იგი თავისუფალი აგენტია და ახალი კლუბის გამოძებნაც თავად მოუწევს.

„ნიქსმა“ ვან განდი დაიტოვა

„ნიუ იორკ ნიქსმა“ გააგრძელა კონტრაქტი მწვრთნელ ჯეფ ვან განდისთან. ფინალური მხარე საიდუმლოდ დარჩა. ვან განდიმ შარშან პირველი სრული სეზონი გაატარა „ნიქსში“, 57 მატჩი მოიგო და 25 წააგო. ამასთან, მწვრთნელმა გუნდი აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალში გაიყვანა და იქ 3:4 წაგო „მიამისთან“. „ჯეფმა საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად წარმოაჩინა თავი. მისი მუშაობა ორგანიზებული და ნაყოფიერია“ — განაცხადა „ნიქსის“ გენერალურმა მენეჯერმა ერნი გრუნფელდმა.

35 წლის ვან განდიმ გუნდი 1996 წლის 8 მარტს ჩაბარა. იმ სეზონის დარჩენილი მატჩებიდან 13 მოიგო და 10 წააგო. იგი ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა „ნიუ იორკის“ მწვრთნელის თანაშემწედ სხვადასხვა დროს მისი უფროსები იყვნენ სტუ ჯეკსონი, ჯ�მაკლეოდი, პატ რაილი და დონ ნელსონი. მისი ძმა სტენ ვან განდი „მიამიში“ მუშაობს პატ რაილის თანაშემწედ.

წინა კვირაში კი „ნიქსმა“ ოთხი წლით 65 მილიონ დოლარად დაინარჩუნა სუპერცენტრი პატრიკ იუინგი.

იყიდება

3-ოთახიანი კერძო ბინა (ბელეტაჟზე), სამზარეულოთი, გარაჟით, ორი სარდაფით, საბაბანოთი, სამი პატარა ოთახით ეზოში, ამასთან, 600 კვ მეტრი ნაკვეთი სოფელ იღოეთში. საწყისი ფასი 22 000 დოლარი.

მისამართის: ნარიყალაქეფის რაიონი, იღორიის ქუჩა № 8 (№ 16 სამხარეოს ტაქსი ვაჟიანასველი ხიდიდან).

იყიდება

თეთრი, გამაჭვირვალე

ორგანული მინა.

3 და 4 მილიმეტრიანი.

ზომები: 89x129 სმ და 129x179 სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56

38-60-88(საღამოს საათებში)

ნიგერიელები შრომით მოდიოდნენ?

11-ბ ივლისს დევისის თასზე საქართველოსა და ნიგერიის გუნდებს შორის მატჩის თბილისში ჩატარება გუშინ საღამომდე სათუო იყო. არა, მასპინძლებს ყველაფერი მზად ჰქონდათ, ორგანიზაციული საქმეებიც მოეგვარებინათ და კორტებიც მოწესრიგებული იყო, ჩვენი ნაკრების წევრებიც — ვლადიმერ მარგალიტაძე, დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე და გივი სამხარაძე მონდომებით ემზადებოდნენ. მაგრამ რად გინდა? მეტოქე — ნიგერიის გუნდი არ ჩანდა და მათგან არაფერი ისმოდა, არადა, აფრიკელები 7 ივლისს უნდა ყოფილიყვნენ თბილისში. გუშინ მატჩის კომისარმა ჯონ ლითლმა გვითხრა:

— დღეს 17 საათზე კაპიტნებთან უნდა მეთათბირა მატჩის თაობაზე, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, უკვე ჩაშალა. მატჩის დაწყებამდე 24 საათით ადრე, ესე იგი, 10-ში 12 საათზე უნდა მოწყოს კენჭისყრა, რომელსაც ორივე გუნდის წარმომადგენლები უნდა დაესწრონ. თუ ამ დროისთვისაც არ გამოჩნდნენ ნიგერიელები, მათ წაგება ჩაეთვლებათ. არადა, გარდა იმისა, რომ მატჩი ჩაშლება, თბილისიდან ნაადრევად მომიხდება წასვლა, რაც ძალიან გულდასაწყვეტია ჩემთვის — თქვენი ქალაქი ძალიან მომეწონა, აქ შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ.

კომისარი მართლაც შესანიშნავ ხასიათზე იყო. წინა დღის ჩვენებური მასპინძლობის კვალიც ემჩნეოდა სახეზე და საერთოდაც ეტყობოდა, რომ თბილისში კარგად გრძნობდა თავს. ჩვენი ქალებიც მოსწონებია, მასპინძლობაც და სასმელებიც. ამიტომ, როცა ბოლოს გვითხრა, ვიმედოვნებ, ნიგერიელები მაინც ჩამოვლენო, ეს უფრო მისი დიდი სურვილი იყო, ვიდრე იმდროისთვის არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე ოპტიმიზმი.

კომისარს იმედმა არ უმტყუნა: წუხელ, ნაშუაღამევს ნიგერიელებმა როგორც იქნა თბილისს ჩამოაღწიეს, ასე რომ, მატჩი გადარჩა.

ძოტე მგალობლიშვილი

ტკბილი შურისძიება

LE TOUR

8 ივლისს „ტურ დე ფრანსის“ მორიგი ეტაპი გაიმართა. ველობმბრბოლებს 224 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი ვირიდან პლუმელეკამდე. რბოლის შუაში რამდენიმე სპორტსმენი გამოეყო პელოტონს და ერთი ხანობა მთელი სამი წუთით დაწინაურდნენ, მაგრამ ფინიშამდე 25 კმ-ით ადრე. მათ ჯგრო წამოეწია. ამის შემდეგ ტრასაზე მრბოლთა ჯგუფი დაეცა და ტურმაც ერთ-ერთი ფავორიტი დაკარგა — ესპანეთის ტურის სამგზის გამარჯვებული და „ტურ დე ფრანსის“ 1993 წლის ვიცე-ჩემპიონი, შვეიცარელი ტონი რომინგერი. იგი მახლობელ საავადმყოფოში გადაიყვანეს ლავიწის ძვლის მოტეხილობით. წინა ორი ეტაპის გამარჯვებულმა, იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ დაიჩოქა, გზა ზოგჯერ ისე ვიწროვდება, ძნელია, არ დაეცეო.

იტალიელისგან ახლაც გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ ფინიშის სწორზე „სუპერ მარიო“ საკმაოდ ჩამორჩა, გამარჯვება კი გერმანელმა ერიკ ცაბელმა მოიპოვა. მისი დროა 4 საათი, 54 წუთი და 33 წამი. საფინიშო სპურტი ცაბელმა ბელგიელ ფრანკ ვანდენბრუკს და ტურის შარშანდელ ჩემპიონ, დანიელ ბიარნე რიისს მოუგო.

ამ გამარჯვებით ცაბელმა შური იძია მარიო ჩიპოლინიზე. საქმე ისაა, რომ ორშაბათს გერმანელის დაბადების დღე იყო და, ბუნებრივია, მოგებით სურდა აღენიშნა. ფინიშამდე 50 მეტრით ადრე იგი ლიდერობდა კიდეც, მაგრამ იტალიელმა უკანასკნელ მეტრებზე გადასწრო. ცაბელმა მესამე ეტაპის შემდეგ ქულათა ჩათვლის ლიდერის მწვანე მაისურიც მოიგო, რომელიც შარშან მოუგია კიდეც. მან საერთო ჩათვლაში ჩიპოლინისთან ჩამორჩენა 14 წამამდე შეამცირა.

ცაბელმა მოგება შვილთან ერთად იზეიმა

მესამე ეტაპი: 1. ერიკ ცაბელი 4:54:33; 2. ფრანკ ვანდენბრუკი; 3. ბიარნე რიისი; 4. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი); 5. დავიდ რებელინი (იტალია); 6. აბრაამ ოლანო (ესპანეთი)... 8. იან ულრიხი (გერმანია)... 15. კრის ბორდმანი (დიდი ბრიტანეთი) — ყველას იგივე დრო.

გუშინ მორიგი, მეოთხე ეტაპი გაიმართა. ტრასის სიგრძე პლუმელეკიდან ლეპუი დუფუმდე 223 კილომეტრს შეადგენდა. პელოტონს უფრო ძნელი მარშრუტის გავლამ მოუწია და წინა დღესთან შედარებით სიჩქარემაც საგრძნობლად იკლო.

მთელი ტრასის მანძილზე კვლავ ცაბელი და ჩიპოლინი ეპაექრებოდნენ ერთურთს საპრიზო ქულებისა და წამების მოსაპოვებლად. სამ შუალედურ სპრინტში უფრო იღბლიანი გერმანელი აღმოჩნდა. აი, ფინიშამდე კი პელოტონმა ერთ დიდი ჯგუფად მიაღწია. იქ თავიდანვე იტალიელი ნიკოლა მინალი დაწინაურდა, მაგრამ ფრანგ ფრედერიკ მონკასინს არაფრით ეთმობოდა პირველი ადგილი და ლიდერს ბოლომდე მიჰყვა. ფინიში იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ დაწინაურებულს მოგების ნიშნად ორივე ხელიც არ აუწევია, გამარჯვებული კი ფოტოფინიშმა გამოავლინა. მეოთხე ეტაპი მინალიმ მოიგო, რომლის დროა 5 საათი, 46 წუთი და 42 წამი.

საერთო ჩათვლაში, შემდეგ ეტაპამდე მაინც, ლიდერის ყვითელი მაისური ჩიპოლინის შერჩა, თუმცა მისი უპირატესობა ცაბელთან 4 წამამდე შემცირდა.

მეოთხე ეტაპი: 1. ნიკოლა მინალი 5:46.42; 2. ფრედერიკ მონკასინი; 3. ერიკ ცაბელი; 4. მარიო ჩიპოლინი; 5. იერონ ბლაილევენსი (ჰოლანდია); 6. ფაბიო ბალდატო (იტალია) — ყველას იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. ჩიპოლინი 21:56.46; 2. ცაბელი +.4; 3. ბორდმანი +.35; 4. ულრიხი +.37; 5. ვანდენბრუკი +.41; 6. ოლანო +.45; 7. ჟალაბერი +.47; 8. მონკასინი +.51; 9. ლინო (საფრანგეთი) +1.00; 10. კამენზინდი (შვეიცარია) +1.03.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია, სადაც ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა, აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას სპორტული (სამეჯლისო) ცეკვების სპეციალობაზე. კურსდამთავრებულები მიიღებენ ბაკალავრის წოდებას და ჯერ კიდევ სწავლების პერიოდში უზრუნველყოფილნი იქნებიან სამსახურით.

მსაღლებ გამოცდებზე ყურადღება მიექცევა ფიზიკურ-ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ მონაცემებს.

ტელეფონები:

96-52-75, 34-41-51, 23-05-34

სამპრასი — დიადი დიქტატორი

ჩოგბურთისადმი ერთიორად მაშინ იმატებდა ხოლმე ინტერესი, როდესაც ერთდროულად ორი ან სამი ნამდვილი ჩემპიონი იბრძოდა პირველობისთვის. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ამ როლს კონორს — მაკინროი — ბორგის ტრიო ასრულებდა, მოგვიანებით, ლენდლი — ბეკერი — ედბერგი, 90-იანების დასაწყისში ჩოგბურთი ნიჭიერ ამერიკელთა ტალღამ წალეკა — აგასი, სამპრასმა, კურიემ თავიანთი სიტყვა თქვეს დიდი სლემის ტურნირებში. მაგრამ ეს ერთი წელია, ყველაფერი შეიცვალა. ჯერ იყო და, დიდი შვედი — სტეფან ედბერგი წავიდა სპორტიდან. წითურა ჯიმ კურიე ბევრს კი ფაფხურობს, მაგრამ რიგიანი არა გამოსდის რა. ქალთა გულების მპყრობელი — ანდრე აგასი მთელ ენერგიას მშვენიერ მეუღლეს ბრუკ შილდსს ახარჯავს და ამ ქალის შემყურეს თამაშისთვის როგორღა დარჩება დრო.

სამპრასი და ჰინგისი — მონარქთა წყვილი

უიმბლდონის შემდეგ ჩოგბურთს მორიგი გრანდები გამოაკლდნენ. ყველასათვის მოულოდნელად ბუმ-ბუმ ბორისმა (ბეკერმა) გამოაცხადა, ჩემი გრძელი გზა დასასრულს მიუახლოვდაო. მიხაელ შტიხი, მართალია, მხოლოდ ერთხელ აყვავდა, უიმბლდონი რომ მოიგო 91-ში, მაგრამ ამ ტრავმებით გატანჯულ კაცსაც შეჰქონდა თავისი ეშხი სლემის ტურნირებში.

დარჩა მხოლოდ პიტ სამპრასი. მაგრამ დარჩენაც ამას ჰქვია. ამ კაცმა ბოლო 4 დიდი სლემის ტურნირიდან სამი მოიგო და წლევანდელ როლან გაროსზე ცოტა ზედმეტი რომ არ მოსვლოდა ჰამბურგერების ჭამა, ალბათ, არც იქ დააკლებდა ხელს.

ამერიკელმა ჩოგბურთის მამებს დიდი თავსატეხი გაუჩინა — საქმე ისაა, რომ სამპრასი კეისრობს, ბრუტუსი კი არსად ჩანს. მარტივად რომ ვთქვათ, პიტს ღირსეული მოწინააღმდეგეები სჭირდება, თორემ ცალკარა თამაში ნამდვილად ვერაა კარგი საყურებელი. ასე რომ, ეძებენ ტალანტებს. ამ მხრივ A.T.P-ს მესვეურთ მთლად სახარბიელოდ ვერა აქვთ საქმე. თუმცა დიდ იმედებს ამყარებენ როლან გაროსის წლევანდელ ჩემპიონ, ბრაზილიელ გუსტავო კერტენზე. უიმბლდონის აღმოჩენაზე — გერმანელ ნიკოლა კიფერზე. საფიქრებელია, რომ დიდ ჩოგბურთს კიდევ ერთი გერმანელი — დანიელ ელსნერი ითამაშებს. ამ ბიჭმა, სამპრასის დარად, ბოლო 4 დიდი სლემის ტურნირიდან სამი მოიგო, ოღონდ იუნიორებში და მომავლიდან პროფესიონალებშიც ჩაეწერება. არც 21 წლის შვედი — მაგნუს ნორმანი ჩანს ურიგო მოთამაშე.

რაც შეეხება კლასიფიკაციას, სამპრასს პირველობას კარგა ხანს ვერავინ შეეცილება. იგი ლამის ორმაგად უსწრებს ქულებით მეტოქეებს. ყველაზე დიდი ნახტომი, ოღონდ, თავისდა საუბედუროდ, უკუ მიმართულებით, ჰოლანდიელმა რიხარდ კრაიჩეკმა გააკეთა. იგი მეექვსედან მეთხუთმეტე ადგილზე ჩამოქვეითდა. შვიდი ერთეულით წაიწია წინ ბორის ბეკერმა. იგი ახლა მეთერთმეტეა.

კაცების ოცეულში შემავალი ჩოგბურთელები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაეყოთ.

—ეისების ოსტატები: ჩოგბურთს რომ მხოლოდ ძალა და მოწოდება ჰყოფნიდეს, რიხარდ კრაიჩეკს, გორან ივანიშევიჩსა და მარკ ფილიპუსისს კაცი ვერ დაუდგებოდა წინ. საბედნიეროდ, დიდი ჩოგბურთის სათამაშოდ ინტელექტიცაა საჭირო.

თიხნარის მოთამაშეები: ესენი ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ ათეულში, რაკიღა თიხაზე ბევრი ტურნირი ტარდება და შესაბამისად ქულებსაც ბლომად არიგებენ. ამ ჯგუფში შედის ყველა ესპანელი, ჩილელი მარსელო რიოსი და უკრაინელი ანდრეი მედვედევი. ისე, ალექს კორეჩა და კარლოს მოია არც უფრო სწრაფ კორტებზე ასპარეზობენ ურიგოდ.

უნივერსალები: რომ არაფერი ვთქვათ პიტ სამპრასზე, მათ განეკუთვნებიან აგრეთვე მაიკლ ჩანგი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი, ამჟამად ტრავმირებული ტომას ენკვისტი და მეტად არამდგრადი ხასიათით გამორჩეული ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი.

ბებრები: თანამედროვე ტენისის უფროსელ ჩემპიონს — 29 წლის ტომას მუსტერსა და 27 წლის ბორის ბეკერს ეს-ფეს, ასევე 27 წლის ბორის ბეკერს ახლო მომავალში ნამდვილად ეეღარ ვიხილავთ ამ სიაში.

რაც შეეხება ქალების ჩოგბურთს, ამჟამად მასაც გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — 16 წლის შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი. მთელი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ წააგო და გაზაფხულზე ცხენიდან რომ არ გადმოვარდნილიყო, როლან გაროსის ჩემპიონი ივა მაიოლი იქნებ სულაც არ გამხდარიყო. ქალების ჩოგბურთსაც აკლდებიან გრანდები: შტეფი გრაფი სეზონის ბოლომდე თამაშს კი არა, სიარულს თუ შეძლებს, ესაც კარგი იქნება. მონიკა სელეშს ტურნირებზე მეტად კიბოსთან მებრძოლი მამის ჯანმრთელობა ადარდებს. იანა ნოვოტნა მეორე ადგილამდე კი აღზევდა კლასიფიკაციაში, მაგრამ 28 წელი მითვალა უკვე და ალბათ მალე მიატოვებს თამაშს. ესპანური მძიმე არტილერიაც — არანჩა სანჩესი და კონჩიტა მარტინესი ქვემოთ მიექანებიან.

ყველაფრის მიუხედავად, ქალების ჩოგბურთი მაინც არ არის ისე სავალალო დღეში, როგორშიც კაცებისა. რუსი ანა კურნიკოვასგან უახლოეს მომავალში საგმირო საქმეებს ელიან. ექსტრავაგანტური ვინუს ვილიამსი სწრაფად იზრდება. აქვეა ხორვატი მირიანა ლუჩიჩი, 15 წლის საცრება, რომელმაც, პირველმა პროფესიონალი ჩოგბურთის ისტორიაში, თავისი სადებიუტო ტურნირი მოიგო, მომდევნოს ფინალში კი მხოლოდ შტეფი გრაფთან დამარცხდა. საფრანგეთსა და უიმბლდონში ეს ნიჭიერი გოგო რატომღაც არ მიიწვიეს, თუმცა, ამერიკის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორები, იმედია, შეტ ყურადღებას დაუთმობენ მომავალ თაობას. ივა მაიოლიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ როლან გაროსი შემთხვევით რიდი მოიგო.

ამ კვირაში ქალთა კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: 11 წლის განმავლობაში შტეფი გრაფი პირველად დაქვეითდა მეხუთე ადგილამდე. გერმანელის რისხვა ჩია ამანდა კუტცერი მეექვსემდე აღზევდა. რაც შეეხება თიხეიჯერებს, ჰინგისი კვლავ პირველია, კურნიკოვა 25-ე გახდა, ლუჩიჩი ჯერჯერობით 69-ეა, ვინუს ვილიამსი — მე-60.

ბაიოზ ბერიძე

კაცთა და ქალთა ამჟამინდელი კლასიფიკაცია							
1	(1)	პიტ სამპრასი	5 388	1	(1)	მარტინა ჰინგისი	5 169
2	(2)	მაიკლ ჩანგი	3 768	2	(4)	იანა ნოვოტნა	3 559
3	(3)	გორან ივანიშევიჩი	2 788	3	(2)	მონიკა სელეში	3 451
4	(4)	ტომას მუსტერი	2 724	4	(5)	ივა მაიოლი	3 165
5	(5)	ევგენი კაფელნიკოვი	2 436	5	(3)	შტეფი გრაფი	2 680
6	(7)	ალექს კორეჩა	2 208	6	(7)	ამანდა კუტცერი	2 545
7	(8)	სერხი ბრუგერა	2 176	7	(6)	ლინდსი დევენპორტი	2 437
8	(9)	ტომას ეიკვისტი	2 148	8	(9)	არანჩა სანჩესი	2 436
9	(10)	მარსელო რიოსი	2 143	9	(8)	ანკე ჰუბერი	2 256
10	(11)	კარლოს მოია	2 085	10	(10)	მარი პირსი	2 201
11	(18)	ბორის ბეკერი	1 884	11	(11)	კონჩიტა მარტინესი	1 973
12	(12)	გუსტავო კერტენი	1 851	12	(13)	ირინა სპირლეა	1 871
13	(13)	მარკ ფილიპუსისი	1 820	13	(12)	მერი ჯო ფერნანდესი	1 708
14	(14)	ალბერტ კოსტა	1 765	14	(15)	ბრენდა შულც-მაკარტი	1 579
15	(6)	რიხარდ კრაიჩეკი	1 752	15	(14)	კიმბერლი პო	1 577
16	(16)	ფელიქს მანტილა	1 747	16	(17)	ბარბარა პაულუსი	1 442
17	(19)	ანდრეი მედვედევი	1 654	17	(16)	რუქსანდრა დრაგომირი	1 421
18	(17)	პატრიკ რაფტერი	1 634	18	(18)	კარინა ჰაბსუდოვა	1 405
19	(15)	ალბერტო ბარახატეგი	1 603	19	(19)	საბინე აპელმანსი	1 325
20	(20)	ტიმ ჰენმანი	1 584	20	(22)	სანდრინ ტესტიუ	1 148

ვინ რამდენი $ იშოვა 1997 წლის იანვრიდან დღემდე					
1	პიტ სამპრასი	1 511 578	1	მარტინა ჰინგისი	2 208 383
2	ტოდ ვუდბრიჯი	947 118	2	ივა მაიოლი	1 075 482
3	მაიკლ ჩანგი	865 920	3	ლინდსი დევენპორტი	647 661
4	ტომას მუსტერი	857 690	4	იანა ნოვოტნა	624 890
5	მარსელო რიოსი	854 495	5	მერი ჯო ფერნანდესი	610 102
6	გუსტავო კერტენი	843 558	6	მარი პირსი	587 914
7	ალექს კორეჩა	811 987	7	ნატაშა ზვერევა	555 878
8	სერხი ბრუგერა	778 718	8	არანჩა სანჩესი	518 522
9	მარკ ვუდფორდი	746 017	9	ამანდა კუტცერი	444 329
10	გორან ივანიშევიჩი	736 407	10	მონიკა სელეში	397 905
11	ანდრეი მედვედევი	648 078	11	ირინა სპირლეა	354 848
12	ფელიქს მანტილა	639 383	12	ჯიჯი ფერნანდესი	349 732
13	ალბერტ კოსტა	616 239	13	კონჩიტა მარტინესი	301 424
14	ევგენი კაფელნიკოვი	604 977	14	რუქსანდრა დრაგომირი	296 597
15	სედრიკ პიოლინი	586 871	15	ლაიზა რეიმონდი	283 120
16	მარკ ფილიპუსისი	585 531	16	ნატალი ტოზია	262 492
17	პატრიკ რაფტერი	570 484	17	ნიკოლ არენდტი	259 162
18	რიხარდ კრაიჩეკი	561 964	18	ანა კურნიკოვა	253 802
19	კარლოს მოია	549 010	19	მანონ ბოლეგრაფი	234 564
20	პოლ ჰაარჰიუისი	526 890	20	საბინე აპელმანსი	232 635

გასრულდა ლომთა ამბავი

დასრულდა ამ საუკუნის „ლომთა“ ბოლო ტურნე. შემდეგი — ზღვისრეთში 2001 წლისთვისაა დანიშნული, სამხრეთ აფრიკას კი ოთხი ბრიტანული ქვეყნის ნაკრები 2005 წელს თულა ეწვევა.

ბრიტანელთა წლევანდელი აფრიკული ლაშქრობა ისტორიული იყო. ერთი, რომ აპარტჰეიდის დამხობის შემდეგ პირველად გაიმართა. მეორეც „ლომები“ პროფესიული რაგბის ხანაში პირველად შეიკრიბნენ და სპონსორიც იყოლიეს. და მესამეც, XX საუკუნეში მეორედ მოხდა, რომ ბრიტებმა აფრიკაში ტესტ-სერია მოიგეს.

რაგბს რომ უსახელოვნესი ტრადიცია აქვს, მარჯვნივ მოტანილი დიდი, ისტორიული ცხრილიდანაც ცხადია. მისეული თარიღები, ქალაქები და ანგარიშები არა მარტო აფრიკული, ბრიტანული ანაც საზოგადოდ მსოფლიო რაგბის გამო გვეტყვის ბევრ რამეს, არამედ უთუოდ იმაზეც ჩაგვაფიქრებს, თუ რა გზა გაუვლია ჩვენს ქვეყანას. მოკლედ თუ მოვჭრით, როცა საქართველოში დიდი ცოდვა ტრიალებდა, იმ ხანად ბედნიერი ერები რაგბით ხარობდნენ და ყველაფერს გამოწვლილვით აღნუსხავდნენ. ამის მერე ნუ გაგვიკვირდება, თუ აქაურებს ამ დიდებული თამაშის ჭეშმარიტ სულში წვდომა გვიჭირს.

რეზო ნემსაძე

1997 წლის ლომები

უკანა ხაზი (15-10): ნილ ჯენქინსი (უელსი, პონტიპრიზი) 8 თამაში (3 ტესტი), 2 ლელო, 17 გარდასახვა (1), 22 საჯარიმო (13), 110 ქულა (41); იაიან ევანსი (უ, პლანეალი), 5თ (1), 3ლ; ჯერემი გასქოთი (ინგლისი, ბასი), 7თ (3), 4ლ, არეკნი (1); ვილ გრინვუდი ˙ (ინ, ლესთერი) 6თ, ლ; ნიკ ბიილი (ინ, ნორს-პემფთონი) 5თ, 4ლ; გრეგორ თაუნზენდი (შოტლანდია, ნორს) 6თ (2), 2ლ, ა; თონი ანდერვუდი (ინ, ნიუკასლი) 8თ (1), 7ლ; თიმ სთიმფსონი (ინ, ნიუკ) 7თ (1), 4ლ, 23გ, 15ს, 111 ქ; ჯონ ბენოლი RL (ინ, ნიუკ) 7თ (2), 7ლ; ალან ბეითმენი RL (უ, რიჩმონდი) 8თ (1), ლ; სქოთ გიბსი RL (უ, სვონზი) 6თ (3); პოლ გრეისონი ˙ (ინ, ნორს) 1; ალან თეითი RL (შ, ნიუკ) 6თ (2), 2ლ (ლ); მაიქლ ქეთი + (ინ, ბასი) 6თ (1), 2ლ, ს; თონი სთეინჯერი + (შ, პოიქი) 1თ

9 ნომრები: რობ პაული ˙ (უ, კარდიფი) 4თ; ოსთინ პიილი (ინ, ლესთ) 7თ (2), ლ; მეთ დოუსონი (ინ, ნორს) 6თ (3), 3ლ (2); ქიარანნ ბრაქენი + (ინ, სერეზინზი) 1თ, ლ

შერკინების წინა ხაზი (1-3): ჯეისონ ლენარდი (ინ, პარლიქვინზი) 8თ (1), 3 კაპიტნობა; ქის ვუდი (ირლანდია, პარლ) 5თ (2); თომ სმითი (შ, ვოთსონიანზი) 7თ (3); ბარი ვილიამზი (უ, რიჩმ) 4თ; გრეგ რაუნორი (ინ, ლესთ) 6თ, ლ; მარკ რიგანი (ინ, ბრისთოლი) 6თ (1), 2ლ; დევიდ იანგი RL (უ, კარდ) 6თ; პოლ ვოლისი (ირ, სერეზ) 6თ (3)

შერკინების მეორე ხაზი (4-5): საიმონ შოუ (ინ, ბრ) 7თ, 2ლ; დოდი ვიარი ˙ (შ, ნიუკ) 3თ, ლ; ჯერემი დევიდსონი (ირ, ლონდონ აირიში) 8თ (3); მარტინ ჯონსონი (ინ, ლესთ) 6თ (3), 6 კაპიტნობა (3); ნაიჯელ რედმანი + (ინ, ბასი) 4თ, 1კ

შერკინების მესამე ხაზი (6-8): ლოურენს დალალიო (ინ, ვოსფსი) 7თ (3), ლ; რიჩარდ პილი (ინ, სერეზ) 5თ (2); სქოთ ქვინელი RL ˙ (უ, რიჩმ) 3თ; რობ ვეინრაითი (შ, ვოთს) 9თ (1), 1კ, 4ლ; ნაილ ბექი (ინ, ლესთ) 8თ (2), ლ; ერიკ მილერი (ირ, ლესთ) 5თ (1); თიმ როდბერი (ინ, ნორს) 5თ (2), 2კ; თონი დიფროუზი (ინ, სერეზ) + 2თ

სულ 40 მოთამაშე: 22 ინგლისელი, 8 უელსელი, 6 შოტლანდიელი და 4 ირლანდიელი (ოთხივე მორკინალი!)

˙ ტრავმის გამო შინ გააგზავნეს; + შემცვლელად შინიდან იხმეს; RL ლიგის რაგბიდან დაბრუნებული

მენეჯერი ფრენ ქოთონი (ინ); უფროსი მწვრთნელი იენ მაკგიქანი (შ); მწვრთნელი ჯიმ ტელფერი (შ)

სამხრეთი აფრიკა	დიდი ბრიტანეთი

წელი	I ტესტი	II ტესტი	III ტესტი	IV ტესტი	სერია
1891	პორტ-ელიზაბეთი 30. VII 0:4	ქიმბერლი 28. VIII 0:3	ქეიფთაუნი 5. IX 0:4		0-3
1896	პორტ-ელიზაბეთი 30. VII 0:8	იოპანესბურგი 22. VIII 8:17	ქიმბერლი 29. VIII 3:9	ქეიფთაუნი 5. IX 5:0	1-3
1903	იოპანესბურგი 26. VIII 10:10	ქიმბერლი 5. IX 0:0	ქეიფთაუნი 12. IX 8:0		1-0 (2)
1910	იოპანესბურგი 6. VIII 14:10	პორტ-ელიზაბეთი 27. VIII 3:8	ქეიფთაუნი 3. IX 21:5		2-1
1924	დურბანი 16. VIII 7:3	იოპანესბურგი 23. VIII 17:0	პორტ-ელიზაბეთი 17. IX 3:3	ქეიფთაუნი 20. IX 16:9	3-0 (1)
1938	იოპანესბურგი 6. VIII 26:12	პორტ-ელიზაბეთი 3. IX 19:3	ქეიფთაუნი 10. IX 16:21		2-1
1955	იოპანესბურგი 6. VIII 22:23	ქეიფთაუნი 20. VIII 25:9	პრეტორია 3. IX 6:9	პორტ-ელიზაბეთი 24. IX 22:8	2-2
1962	იოპანესბურგი 23. VI 3:3	დურბანი 21. VII 3:0	ქეიფთაუნი 4. VIII 8:3	ბლუმფონტეინი 25. VIII 34:14	3-0 (1)
1968	პრეტორია 8. VI 25:20	პორტ-ელიზაბეთი 22. VI 6:6	ქეიფთაუნი 13. VII 11:6	იოპანესბურგი 27. VII 19:6	3-0 (1)
1974	ქეიფთაუნი 8. VI 3:12	პრეტორია 22. VI 9:28	პორტ-ელიზაბეთი 13. VII 9:26	იოპანესბურგი 27. VII 13:13	0-3 (1)
1980	ქეიფთაუნი 31. V 26:22	ბლუმფონტეინი 14. VI 26:19	პორტ-ელიზაბეთი 28. VI 12:10	პრეტორია 12. VII 13:17	3-1
1997	ქეიფთაუნი 21. VI 16:25	დურბანი 28. VI 15:18	იოპანესბურგი 5. VII 35:16		1-2

ლომების მონაგარი

	თარიღი	სარბიელი	ქ	ლ	გ	ს	ა	მეტოქე	ქ	ლ	გ	ს	ა
1	24 V	პორტ-ელიზაბეთი	39	5	4	2	-	აღმ. კონცხი	11	1	-	2	-
2	28 V	ისთ-ლონდონი	18	5	-	1	-	საზღვარი	14	1	-	3	-
3	31 V	ქეიფთაუნი	38	4	3	4	-	დას. კონცხი	21	3	-	3	-
4	4 VI	ვიტბანკი	64	10	7	-	-	მპუმალანგა	14	2	-	2	-
5	7 VI	პრეტორია	30	3	3	3	-	ჩრდ. ტრანსვაალი	35	4	3	3	-
6	11 VI	იოპანესბურგი	20	2	2	2	-	პაუტენპი	14	1	-	3	-
7	14 VI	დურბანი	42	3	3	6	1	ნატალი	12	-	-	4	-
8	17 VI	ველინგთონი	51	6	6	3	-	ჯეელი ქურციკები	22	3	2	1	-
9	21 VI	ქეიფთაუნი	25	2	-	5	-	ძურციკები	16	2	-	2	-
10	24 VI	ბლუმფონტეინი	52	7	4	3	-	ნარინჯი	30	3	3	3	-
11	28 VI	დურბანი	18	-	-	5	1	ძურციკები	15	3	-	-	-
12	1 VII	ველკომი	67	10	7	1	-	ჩრდ. ნარინჯი	39	5	4	2	-
13	5 VII	იოპანესბურგი	16	1	1	3	-	ძურციკები	35	4	3	3	-
სულ		თ 13: მ 11, ნ 2	480	58	40	38	2		278	32	15	31	-
ტესტ-სერია		2-1	59:66		ველ-ფლ								



„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

ტელევიზია

საქართველოს დროით!

EUROSPORT

დღეს, ხუთშაბათს, 10 ივლისს

11.30 მძლეოსნობა იააფ-ის დიდი პრიზი. ლინციდან (ავსტრია); 13.00 ველორბოლა: ტურ დე ფრანსი; 14.00 (პ) ჩოგბურთი: რადო შვეიცარიის ღია ჩემპიონატი გშტაადიდან; 18.00 (პ) ველორბოლა: ტურ დე ფრანსი მე-5 ეტაპი (275 კმ) შანტონიი — ლა შარტე; 20.15 სატვირთო მანქანების რბოლა; 21.15 სუმო: ბაშოს ტურნირი ტოკიოდან; 22.00 აერობიკა: მსოფლიოს ჩემპიონატი სიდნეიდან (ავსტრალია); 23.00 კრივი: ქვემძიმე წონა. მაკნაითი — დონალდსონი (ნიუ-ჯერსიდან); 24.00 ველორბოლა: ტურ დე ფრანსი; 1.00 აფროსნობის ჟურნალი; 2.00 ფეხბურთი: მსოფლიო თასის ლეგენდები.

ხვალ, პარასკევს, 11 ივლისს

11.30 აფროსნობის ჟურნალი; 12.00 მოტოკროსის ჟურნალი; 13.00 ველორბოლა: ტურ დე ფრანსის გუშინდელის მიმოხილვა; 14.00 (პ) ჩოგბურთი: გშტაადიდან მეოთხედფინალი; 18.00 (პ) ველორბოლა: ტურ დე ფრანსი მე-6 ეტაპი (216 კმ) ლებლანი — მარენი; 20.15 ჩოგბურთი: გშტაადიდან მეოთხედფინალი; 21.30 მოტოსპორტის ჟურნალი; 22.30 ბუნიკობანა (დარსი) ევროპის ღია ჩემპიონატი ტენერიფედან (ესპანეთი); 23.30 სატვირთო მანქანების რბოლა ბერგაშემიდან (ბელგია); 24.00 ტრაქტორობანა ევროპის თასი სოტრუმიდან (გერმანია); 1.00 ველორბოლა: ტურ დე ფრანსი, ლეგენდები. 2.30 კრივი: ქვემძიმე წონა. ვარინგი — სტიუარტი; 3.30 ტანთქანდაკება (ბოდი-ბილდინგი) ევროპის პირველობა მინსკიდან.

(მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

მოტოციკლი

დუენი: 8-დან 7, 200-დან 195

მას აქეთ, რაც სამი წლის წინ იმოლამ ფორმულა-1-ის მრბოლები სენა და რაცენბერგერი შეიწირა, ტრასა ისე გამარტივდა და გაუსაფრთხოვდა, რომ მაიქლ დუენს ერთობ მოწონს. მან იქ შარშან თუ კოკისპირულ წვიმაში გაიმარჯვა, წელს დარში არავის დაუთმო პირველობა. ამის შემდეგ მონტე-კარლოელ ავსტრალიელ მიკის 200 შესაძლებლიდან 195 ქულა დაუგროვდა, რაც ბოლო ათწლეულების უმაღლესი შედეგია.

დუენის ხვედრი: პარასკევს — შიში, კვირას — 41-ე ტრიუმფი

როიტერი იმოლადან

პარასკევის პირველ კვალიფიკაციაზე დუენმა შიში ჭამა: მავან მაჩანჩალას დაუპირა გასწრება, მაგრამ მოუცრდა, ბალახზე გადავიდა და კინლამ კედელს შეასკდა. ბედად, ოსტატმა იმარჯვა და ისევ ბილიკს დაუბრუნდა, თუმც კი ისე აღელდა, რომ წრის ბოლომდე სულ უკან იყურებოდა და თავს ნირწამხდარი იქნევდა.

დღე ისე გაილია, რომ უფროს კლასში საუკეთესო შედეგი ესპანელ კარლოს ჩეკას ქონდა. დუენი მეორე იყო. მაგრამ აი, დადგა შაბათი და იმოლაზე ძლიერმა ქარმა დაუბერა. დუენმა საბოლოოდ მაინც აჯობა ჩეკას და პოული მოიპოვა. ესპანელი მესამე წრეზე დაეცა, მაგრამ არაფერი დაშავებია. სამაგიეროდ, მოტოციკლი დაამტვრია და სესია სამარქაფოთი დასრულა.

მსოფლიო პირველობის VIII ეტაპი

სან-მარინოს დიდი პრიზი

4-6. 07. იმოლა. ფერარების ავტოდრომი

125 კუბ. სმ

21 წრე; 103,530 კმ: 1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 41.50,114 (საშუალო სიჩქარე 148,482 კმ-სთ); 2. ტომომი მანაკო (იაპონია, პონდა) 41.51,739; 3. კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 42.13,665; 4. გარი მაკქოი (ავსტრალია, აპრილია) 42.17,176; 5. ნობორუ უედა (იაპონია, პონდა) 42.18,310; 6. ხორხე მარტინესი (ესპანეთი, აპრილია) 42.18,978

უსწრაფესი წრე: როსი, XV, 149,784 კმ-სთ

საჩემპიონატო მონაგარი: როსი 170 ქულა; უედა 123; მანაკო 111; საკატა 101; მარტინესი 77; მაკქოი 67

250 კუბ. სმ

23 წრე; 113,390 კმ: 1. მაქს ბიაჯი (იტალია, პონდა) 43.17,419 (157,157კმ-სთ); 2. ოლივიე უაკი (საფრანგეთი, პონდა) 43.18,075; 3. ტოპრუ უკავა (იაპონია, პონდა) 43.18,235; 4. რალფ ვალდმანი (გერმანია, პონდა) 43.23,919; 5. ტეტეია პარადა (იაპონია, აპრილია) 43.44,562; 6. მარჩელინო ლუკი (იტალია, აპრილია) 44.11,576

უსწრაფესი წრე: პარადა, XVI, 158,645 კმ-სთ

მონაგარი: ბიაჯი 136; ვალდმანი 131; პარადა 117; უაკი და უკავა 81; ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია) 63; პარუჩიკა აოკი (იაპონია, პონდა) 58

500 კუბ. სმ

25 წრე, 123,250 კმ: 1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, პონდა) 45.58,995 (160,819 კმ-სთ); 2. ნობუაცუ აოკი (იაპონია, პონდა) 46.07,643; 3. ტაკუმა აოკი (იაპონია, პონდა) 46.19,011; 4. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, პონდა) 46.23,565; 5. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, პონდა) 46.24,879; 6. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 46.25,075; 7. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა) 46.28,369; 8. ჟან-მიშელ ბეილი (საფრანგეთი, მოდენაზი) 46.39,876; 9. ალექს ბარუში (ბრაზილია, პონდა) 46.42,531; 10. ენთონი გობერთი (ავსტრალია, სუზუკი) 47.00,378

სასტარტო განლაგება: დუენი, ჩეკა, გობერთი, ნ. აოკი; ოკადა, ტ. აოკი, აბე, კადალორა

უსწრაფესი წრე: დუენი, XXIV, 162,176 კმ-სთ

მონაგარი. პირადი: დუენი 195; ალექს კრივიე (ესპანეთი, პონდა) 102; ნ. აოკი 100; ოკადა 89; ჩეკა 83; კადალორა 69; აბე 66; ტ. აოკი 64; ბარუში 59; ალბერტო პუჩი (ესპანეთი, პონდა) 48. გუნდური: პონდა 200; იამაჰა 92; სუზუკი 48; აპრილია 42; მოდენაზი 31

პირველობის შემდეგი ეტაპი — გერმანიის დიდი პრიზი იქნეა კვირის უქმეებზე, ნიურბურგრინგზეა

იყოჩალა ავსტრალიელმა ენთონი გობერთმა, რომელმაც წელს „სუზუკი“ პირველად მოახვედრა მოწინავე სასტარტო მწკრივში.

კვირას მიკის სტარტი ცუდად აიღო და პირველი წრე მეოთხემ დასრულა. წინ ნობუაცუ აოკი იყო. მერე და მერე ავსტრალიელის ოსტატობამ და უკეთესმა მანქანამ თავისი გაიტანა და დუენმაც წელს მეშვიდედ, კარიერაში კი 41-ედ გაიმარჯვა. რაც შეეხება ჩეკას, ფინიშამდე ოთხი წრე რომ რჩებოდა, მას მანქანა ღორღზე გაექცა, მაგრამ კარლოსმა იხერხა და ხიფათს უვნებელი დაუძვრა.

საშუალო კლასში წელს მესამე ეტაპი მოიგო ბიაჯიმ, უმცროსში — წელს ზედიზედ მესამე, სულ კი მეექვსე — ყმაწვილმა როსიმ, რომელმაც ფინიშზე კვლავ „ვიილი“ გააკეთა — მოტოციკლი ყალყზე შეაყენა.

თენგიზ არტამონოვი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიბინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძრომჯედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29